# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


ოთხშაბათი, 22 სექტემბერი, 2010 წელი.

№177 (6543)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## როგორ ცხოვრობენ ფსიქიატრიულის „პატიმრები?“



2



## სააკაშვილი ქვეყნის სათავეში ორმოცი წელი იქნება?!

გიორგი ქავთარაძე საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარეა



## ვულოცავთ!

კავშირის ყრილობის მონაწილე 117 დეპუტატიდან სამოცდასამმა ხმა საქართველოს სახალხო არტისტს გოგი ქავთარაძეს მისცა, რომლის მიერ წარმოდგენილი პროგრამა მათთვის ყველაზე მეტად მისაღები აღმოჩნდა.

ყრილობის მონაწილეებმა კავშირის საპატიო თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ბატონი გიგა ლორთქიფანიძე.

## „შეუნიღბავად შენიღბული“ პრივატიზება,



5

ანუ რატომ სჩვისდება ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტები კანონით აკრძალვის მიუხედავად და რატომ მცირდება პრივატიზებით დაგეგმილი შემოსავალი?

ვაჰ, სოფელო...

## რატომ მონათლა სააკაშვილმა ანტიფაშისტი ფაშისტად?!

3

## ძეგლს ძველი იერი უნდა დავუბრუნოთ!



ჟურნალისტის დღიურიდან

## კობულეთური გზაწვრილები



4

## ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების სააგენტო უქმდება



## ერთი სიყვარულის ისტორია

6



## „სულიკო“ პოეტის სამშობლოში

№ 177. ოთხშაბათი, 22 სექტემბერი, 2010 წელი.

ლეიბორისტთა ინიციატივა

# სააკაშვილი ქვეყნის სათავეში ორმოცი წელი იქნება?

## ჯერჯერობით ნათელაშვილის იდეას ყველა როდი იზიარებს



**მკვდარი ზაფხულის შემდეგ შესაძლოა პოლიტიკურად აქტიური და დატვირთული შემოდგომა დადგეს. შალვა ნათელაშვილი მზადაა საერთო-სახალხო ლიდერის ფუნქციები იკისროს და არა მარტო ლეიბორისტული პარტია, არამედ ზოგადად ოპოზიციური სპექტრი ნაციონალებს დაუპირისპიროს.**

ჯერ რევოლუციაზე საუბარი, ალბათ, გადამეტებულია, თუმცა ახალი კონსტიტუცია გახდა სერიოზული უკმაყოფილების საბაბი. 2013 წლიდან პრემიერ-მინისტრი ერთმმართველი პრეზიდენტის რამდენიმე საკვანძო ფუნქციას გადაიბარებს, რასაც შეიძლება მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობიდან პირდაპირ პრემიერ-მინისტრად გადაბარგება მოჰყვეს. პრემიერ-მინისტრს უმრავლესობით მოსული პარტია ირჩევს, ხოლო არჩევნების გაყალბებაში დახელოვნებული ნაციონალების კვლავ უმრავლესობით მოვლინებას თითქმის არავინ გამორიცხავს. ნაციონალები კი, თავის მხრივ, მიხეილ სააკაშვილს ერთხმად აირჩევენ...

არასამთავრობოთა კოალიცია, განსაკუთრებით საზოგადოებრივი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები უამრავ სხვადასხვა ნიუანსზე ამახვილებდნენ ყურადღებას, მაგრამ ამათგან უმნიშვნელოვანესი ის „ბომბია", რომელიც ახალი კონსტიტუციის 80-ე მუხლში დევს, და რომელიც ქვეყნის პრემიერ-მინისტრის არჩევის წესს შეეხება.

შალვა ნათელაშვილის თქმით, ერთ მშვენიერ დღეს გავიღვიძებთ და ორვადაამოწურული სააკაშვილი პრეზიდენტის ჩინ-მედლებით პრემიერ-მინისტრის რანგში მოგვევლინება და ისევ სახელმწიფოს მეთაური გახდება. **„ის ოპოზიციური თუ არაოპოზიციური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ., რომლებიც კონსტიტუციური ცვლილებების განხილვასა და მასზე მსჯელობას დაიწყებენ, სააკაშვილთან არიან შეკრულნი. დღეს საუბარი იმით უნდა დაიწყოს, რომ კონსტიტუციაში აკრძალვა შევიდეს, რათა სააკაშვილმა და სხვა პრეზიდენტებმა ვერასოდეს დაიკავონ პარლამენტის თავმჯდომარის, პრემიერ-მინისტრის, უმაღლესი სასამართლოს და საკონსტიტუციო სასამართლოს ხელმძღვანელის პოსტები ორი ვადის ამოწურვიდან 5 წლის განმავლობაში",** — განაცხადა ნათელაშვილმა საგანგებო ბრიფინგზე, ხოლო ეს სიტყვები შემდეგ ტელეკომპანია „კავკასიის" ეთერშიც გაიმეორა, რასაც რამდენიმე ოპოზიციური პარტიის გამოხმაურება მოჰყვა.

„ეროვნული ფორუმის" ლიდერი გუბაზ სანიკიძე პირდაპირ ეთერში ჩაერთო და განაცხადა, რომ ფორუმელები ამ მოთხოვნას შეუერთდებიან და ლეიბორისტებთან ერთად გამართავენ კონსულტაციებს, რათა პარლამენტს ამ ცვლილების ვარიანტის მიღება მოსთხოვონ.

„ქალთა პარტიის" ლიდერმა გუგული მაღრაძემაც და „დემოკრატიულ მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემაც ლეიბორისტებს სოლიდარობა გამოუცხადეს. თითქოს მათ სხვა პარტიებიც ოფიციალურად უნდა შეერთებოდნენ, თუმცა ლეიბორისტების პრესცენტრმა გვითხრა, რომ პირდაპირ ეთერში გაკეთებული განცხადებების შემდეგ ლეიბორისტებს ჯერჯერობით არავინ გამოხმაურებია.

**„საყოველთაოდ, ერის წინაშე ვაცხადებ: რომელი ოპოზიციური პარტიაც არ დაუჭერს მხარს ჩვენს წინადადებას, ის პარტია სააკაშვილზე უარესი იქნება საქართველოსთვის",** — რამდენჯერმე შენიშნა ლეიბორისტების ლიდერმა, თუმცა კვლავ დიდი კითხვის ნიშანია იმასთან დაკავშირებით, რას იზამს ოპოზიციის დიდი ნაწილი. როგორც ყოველთვის, ისეთ შემთხვევაში, როცა რაღაც საკითხზე ინიციატივას მხოლოდ ერთი პარტია იღებს თავის თავზე, მის გარშემო შემოკრება ექნელებათ ხოლმე. მსგავსი სისუსტეებით კი კვლავ ნაციონალთა „ერთმუშტად შეკრული" გუნდი სარგებლობს.



მთელი დღის განმავლობაში ვცდილობდით დავკავშირებოდით ირაკლი ალასანიას თანაგუნდელ თეა წულუკიანს, მაგრამ, სამწუხაროდ, უშედეგოდ. საქმე ისაა, რომ ნათელაშვილის იდეად მონათლული მოთხოვნა, პარტია „თავისუფალი დემოკრატების" ინიციატივით ივლისში გადაეგზავნა ვენეციის კომისიას. ახალი კონსტიტუციის ვერსიის გამოქვეყნებისთანავე ალასანიას გუნდის წევრებმა პრემიერ-მინისტრის არჩევის შესახებ მუხლი გააპროტესტეს და მოითხოვეს, ორი ვადით არჩეულ პრეზიდენტს არ ჰქონოდა უფლება, მოსულიყო ქვეყნის სათავეში. ეს შენიშვნა ვენეციის კომისიამ არ გაითვალისწინა. ამჯერად „თავისუფალი დემოკრატების" პოზიცია გაურკვეველია, მაგრამ ფაქტია, რომ იდეა მათ ეკუთვნით, შესაბამისად, მიუღებელი არაფერია.

**დაიწყეთ ბრძოლა ამ მუხლის შესაცვლელად!** — მოუწოდებს კოლეგებს შალვა ნათელაშვილი. ბრძოლა დაწყებულია, მაგრამ ბრძოლის გაგრძელების რა ფორმას იპოვნიან ოპოზიციონერები, გამოკვეთილი არ არის. მეტიც, სააკაშვილის მოწინააღმდეგეთა სპექტრი ჯერ მრგვალ მაგიდასთან ერთად არც დამჯდარა...

**ასეთი ოპოზიციური არაერთსულოვნებით გულმოცემული მიხეილ სააკაშვილი უცხოელ კოლეგებთან თავს იწონებს. საქართველოს პრეზიდენტმა გაეროს ათასწლეულის გამოწვევის მიზნებისადმი მიძღვნილ სესიაზე საქართველოში სიღარიბისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილებაზე დიდხანს ისაუბრა. „ეს პროგრესი, რასაც ჩვენ მივაღწიეთ, მხოლოდ დასაწყისია იმისათვის, რათა მუშაობა გავაგრძელოთ", — აღნიშნა მან, ანუ ის, რაც სააკაშვილმა 8 წელიწადი აკეთა, თუ მხოლოდ დასაწყისია, ორ წელიწადში, ბუნებრივია, დასრულებულად ვერ მიიჩნევა. ცხადია, არც თავად აპირებს სადმე წასვლას... (თუ ნათელაშვილს დავესესხებით, ორმოცი წელი მაინც).**

**თეა მოსია**

პრობლემა

# როგორ ცხოვრობენ ფსიქიატრიულის „პატიმრები"

## რეაბილიტაცია არა მხოლოდ პაციენტებს, არამედ მედპერსონალსაც სჭირდება!

**საქართველოში ფსიქიკური აშლილობის მქონე 10 ათასამდე პირია რეგისტრირებული. 2010 წლისთვის ფსიქიატრიული დახმარების სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტი 10 მილიონ ლარამდე გაიზარდა, რაც თითქმის გაორმაგებული თანხაა, ვთქვათ, 2006 წელთან შედარებით. თუმცა, ამის მიუხედავად სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში აცხადებს, რომ ფსიქიატრია ის ერთადერთი სფეროა, რომელსაც ე.წ. „ვარდების ხელისუფლების ახალი სიო" თითქმის არ შეხებია.**

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" საქართველოს ომბუდსმენის აპარატმა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა შესახებ ანგარიში წარმოადგინა. მონიტორინგის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მოკლედ ასე შეიძლება ითქვას — მდგომარეობა სავალალოა, თითქმის ისეთივე, როგორიც ორი და მეტი ათეული წლის წინათ იყო. იგივე დარჩა თავად მედპერსონალის მიდგომები და შეხედულებები პაციენტების მიმართ...

**გიორგი ტუღუში: „პროგრესი თითქმის არ არის. ბევრჯერ მივუთითეთ ხელისუფლებას, რომ ამ სფეროში სისტემური პრობლემებია, მაგრამ ცვლილებებს ვერ ვამჩნევთ. არადა, ეს საკითხი ჩემთვის პრიორიტეტულია. სასჯელაღსრულების დაწესებულებების მიმართ ჩვენი რეკომენდაციები მეტად სრულდება, ვიდრე ფსიქიატრიული საავადმყოფოების მიმართ".**

როგორც სახალხო დამცველის თანაშემწემ **არჩილ თალაკვაძემ** აღნიშნა, ომბუდსმენის აპარატის თანამშრომლები 2006 წლიდან აქტიურად ახორციელებენ მონიტორინგს. ამჯერად, მიმდინარე წლის იანვარში, საქართველოს ექვს ფსიქიატრიულ დაწესებულებას დააკვირდნენ. მონიტორინგის დროს მ. ასათიანის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში მოთავსებული იყო 223 პაციენტი, თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში — 59, ქაჯაიას სახელობის სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში — 82, ბედიანის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში — 102, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში — 471, ბათუმის რესპუბლიკურ ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში — 86 პაციენტი.

ექვსივე დაწესებულებას იდენტური პრობლემები აქვს: მოუწესრიგებელია ინფრასტრუქტურა, კერძოდ, პაციენტთა პალატები, სადაც ისინი ყველაზე მეტ დროს ატარებენ. განყოფილებებში მძიმე სუნი დგას, განათება არ არის საკმარისი, გათბობის პირობები არადამაკმაყოფილებელია, ტუალეტებისა და აბაზანების მდგომარეობაც ზოგადად მოუწესრიგებელია. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ პაციენტებს პირადი ნივთების შესანახად საკმარისი ინვენტარი არა აქვთ, არც პირადი ტანსაცმელი, პირადი კუთხე, რაც განმარტოების შესაძლებლობას მისცემდა მათ. ჰიგიენური ნივთები და საშუალებები პაციენტთა უმრავლესობას არა აქვს, ტუალეტის გამოყენების შემდეგ პაციენტს ხელის დაბანაც კი არ შეუძლია. პრობლემად რჩება კვების პირობები და რაციონი, პაციენტებისთვის ყველა დაწესებულებაში არ არის ტელევიზორი, ბიბლიოთეკა, სეირნობის საშუალება შეზღუდულია...

**მაგალითად, ანგარიშში, რომელიც სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფოს პირობებს ასახავს, ნათქვამია, რომ სააბაზანოში, რომელიც ეზოში მდებარეობს, ორი იზოლირებული საშხაპეა. ტანის დასაბანი რამდენიმე ღრუბელი ყველასთვის საერთოა, არ ჰყოფნით საპონი. პაციენტთა უმრავლესობას არა აქვს კბილის ჯაგრისები, კბილის პასტები, ტუალეტის ქაღალდი, პირსახოცი. ქალებს არა აქვთ ჰიგიენური პაკეტები და დახეულ ჩვრებს იყენებენ, რომელსაც პერიოდულად რეცხავენ. პაციენტები ამბობენ, რომ ისინი ვერ ბედავენ პერსონალის შეწუხებას, დახურულ კართან დგომა და ლოდინი უწევთ, თხოვნაზე პერსონალი ხშირად უპასუხებს, რომ არ სცალიათ, მოგვიანებით შემოვიდნენ და ა.შ.**



ალბათ, ზედმეტია იმაზე წერა, რამდენად დამთრგუნავი და ამაზრზენია ასეთ საშინელ პირობებში ცხოვრება, მით უმეტეს, რომ ბევრისთვის ფსიქიატრიული დაწესებულება თავშესაფარია, რადგან წასასვლელი არსად აქვთ, ნათესავები მათ მიღებაზე უარს ამბობენ, შემოსავალი კი დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად არა აქვთ.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული ყოველდღიური რეჟიმი, მედიკამენტები, სხვა პაციენტები, ერთფეროვანი გარემო, კიდევ უფრო მეტ დეგრადაციას იწვევს და კითხვის ნიშნის ქვეშ დგება პაციენტის „მკურნალობის" საკითხი.

მართალია, ომბუდსმენის აპარატის მონიტორინგს ჯგუფს პაციენტთა მიმართ დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ საჩივრები არ მიუღია (ვინ გაბედავდა ხმის ამოღებას?ძ, მაგრამ ანგარიშში აღწერილია ფაქტები დამამცირებელი მოპყრობის შესახებ. ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფ პაციენტებს გარესამყაროსგან ჩაკეტილი კარი აშორებთ, ხოლო ისინი, რომლებიც მხოლოდ მოვლას და ზრუნვას საჭიროებენ, ყველაზე მძიმე პირობებში იმყოფებიან — მიტოვებულნი, ყოველგვარი ადამიანური ურთიერთობების გარეშე. პაციენტის ძლიერი აღგზნების მართვისას ფიზიკური შეზღუდვა გამოიყენება, რომელიც ხშირად ერთობ გადამეტებულია. პაციენტები კი ამ ღონისძიებას აღიქვამენ, როგორც სასჯელს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ პაციენტებმა თითქმის არაფერი იციან თავიანთი უფლებების შესახებ და ა.შ.

ანგარიში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროშიც მიიღეს და რეკომენდაციებიც დაეგზავნათ ფსიქიატრიული დაწესებულების დირექტორებს, მაგრამ რადგანაც ოთხი წელია მსგავსი რჩევები მხოლოდ ფურცლებად რჩება, ოპტიმიზმი ამჯერადაც ნაკლებია.

რა ეშველება პრობლემას? აღმოჩნდა, რომ მხოლოდ დაფინანსების გაზრდა სირთულეებს ვერ აგვარებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია თავად პერსონალის მენტალიტეტისა და ფსიქოლოგიური გადამზადების პრობლემა. პრეზენტაციისას აღინიშნა, რომ ექიმები ჯერ ისევ პოსტსაბჭოთა ფსიქიატრიის მიხედვით მუშაობენ, რომელიც საბჭოთა ფსიქიატრიას არის მორგებული. „მთავარია, რამდენად ენდობა პაციენტი ექიმს. სამწუხაროდ, საბჭოთა ფსიქიატრია სხვაგვარად უყურებდა ამ ყველაფერს. უნდა დავნერგოთ ევროპული და ამერიკული მიდგომები, ამ მხრივ უნდა გავაქტიურდეთ, ამას კი დრო სჭირდება", — ითქვა ანგარიშის განხილვისას...

**რა თქმა უნდა, ადვილია, ყველაფერი კომუნისტებს გადააბრალო, მაგრამ 21-ე საუკუნეში ხომ ელემენტარული ჭეშმარიტებაა, იცოდე, რომ ფსიქიატრიულის პაციენტები პატიმრები არ არიან. თანაც, ჰოლივუდური კინოშედევრი ძალიან ბევრს მოგვითხრობს ამერიკულ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებულ სიმახინჯეებზეც, ვის არ უნახავს ფილმი „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა".. ანუ პრობლემა სავარაუდოდ, სხვა რამეშია, რასაც კარგად დაფიქრება სჭირდება.. ევრო-ამერიკული მაგალითების გადმოქართულება კი არას გვარგებს.**

**ნია ფიფია**

## ვაჰ, სოფელო...

*ყველა ადამიანს რაიმე გატაცება აქვს, ჰობი, ასე ვთქვათ.*

*ზოგი ასანთის კოლოფებს ან საფოსტო მარკებს აგროვებს, ზოგი — ასიგნაციებს, უმეტესწილად — მიმოქცევაში არსებულს, ზოგიც — ძველებურ სპილენძის სამოვრებსა და ქვაბებს. უფროსი მეგობარი მყავს, სიტყვებზე ნადირობს, ცოცხალი მეტყველებიდან უკვე ამოვარდნილ ლექსიკურ ერთეულებს ეძიებს და მათ რეანიმაციას ცდილობს.*

*ჩვენი პრეზიდენტი, მისი აღმატებულება მიხეილ სააკაშვილი კი ისტორიზმით არის გატაცებული, უფრო სწორად, შეპყრობილი. თავის უხვ საჯარო გამოსვლებს, სჭირდება თუ არა, ისე მოავარაყებს ხოლმე ისტორიული „ფაქტებით“, როგორც კარგი ოქრომჭედელი. ოღონდ ძალიან ხშირად, როგორც წესი, ეს ვარაყი ბრწყინვით ბრწყინავს, მაგრამ ოქროსი არ არის, თითბრისაა. თითბერი კი, მოგეხსენებათ, რა უმალ ჰკარგავს ელვარებას და შავდება.*

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, ნათქვამია. ჰოდა, ბატონი მიშა, არავინ რომ არ აძალებს და არ ექაჩება ენაზე, მოულოდნელად ისეთს დაახეთქებს ხოლმე, ასაკოვან და ამდენად, გარკვეული ცოდნა-გამოცდილებით დაყურსულ ადამიანებს, თმები საბოლოოდ უჭაღარავდებათ.

რამდენჯერ ვთხოვეთ გაზეთით მასაც და მის თანაშემწე-მრჩევლებსაც, რომლებსაც პრეზიდენტის საჯარო გამოსვლებზე თვალყურის დევნება ევალებათ (უნდა ევალებოდეთ!), დაანებეთ ამ ისტორიას თავი, მეტი პატივი ეცით წინაპრებსა და მსმენელებსო, მაგრამ გაგიგონია!..

აი იმ დღესაც — 13 სექტემბერს, ქუთაისში კადეტთა კორპუსის სასწავლო ცენტრის გახსნაზე გამოვიდა ჟრუანტელისმომგვრელი პატრიოტული სიტყვით: მსოფლიო ისტორიიდან რამდენიმე აღმატებული მაგალითი გაიხსენა და ის ცნობილი ადამიანები (ქართველები) ჩამოთვალა, რომლებიც სხვა ქვეყნებისა და მმართველებისთვის წირავდნენ თავს და გამარჯვებას მოუპოვებდნენ.

უპირველესად ესპანეთის დიქტატორ ფრანკოს მამაცი ოფიცერი, პოლკოვნიკი ამილახვარი დაასახელა, რომლის არჩევანიც მთლად მოსაწონი არ იყო, რადგან ფრანკოს ედგა მხარში, რამდენიმე გამარჯვება მოუტანა. იგი ბრძოლაში დაიჭრა და ამ ჭრილობებისგან გარდაიცვალაო — პრეზიდენტის ეს დახასიათება იმავე დღეს გადაიცა „რუსთავი-2“-ის ეთერით და სახტად დატოვა სრულიად საქართველო. ასეთივე რეაქცია გამოიწვია პრეზიდენტის ამ გამოსვლის გამეორებითმა ჩვენებამ შაბათს, 18 სექტემბერს მეორე არხის ეკრანით.

რაკი ტელეარხებმა ასე ერთსულოვნად აიტაცეს მისი აღმატებულება მიხეილ სააკაშვილის ისტორიულ-ჰეროიკული წიაღსვლა, ბუნებრივია, მიიჩნიეს, რომ კარგი საქმე გაუკეთეს მაყურებელს — თვით პრეზიდენტის ხელდასხმით თვალსაწიერი გაუმდიდრეს უძვირფასესი ისტორიული ცოდნით.

მაგრამ ეს ასე არ არის. არც ერთი ფაქტი, გარდა იმისა, რომ ამილახვარი ქართველი და მამაცი იყო, მართალი არ არის, მეტიც — თუ სულაც სიმართლეს ვიტყვით, თავანკარი სიცრუეა, ოღონდ არ ვიცი, სათავეს საიდან იღებს: არცოდნიდან თუ შეგნებული გაყალბებიდან. ალბათ მაინც არცოდნიდან. ეტყობა პრეზიდენტს მოსწავლეობის წლებში რაღაც-რაღაცეებისთვის ყური მოუკრავს. შემდეგ აღარაფერი დაუმატებია, დროის გასვლის პარალელურად პირიქით, ზოგი რამ დაავიწყდა, ზოგი რამ აურია და მაინც, სადაც არ ეზარება, მაშინვე გადმოალაგებს ხოლმე.

ახლა კონკრეტულად ამილახვარზე. თუ მა-

# რატომ მონათლა სააკაშვილმა ანტიფაშისტი ფაშისტად?!

## ანუ ამილახვარი, რომელიც ის არ იყო, ვინც სინამდვილეში იყო

გალითად მოჰყავდა, აი, რა უნდა სცოდნოდა და ეთქვა მასზე:

დიმიტრი ამილახვარი 1906 წელს დაიბადა თერგის ოლქის სოფელ ბოზორკინოში (ახლანდელი ჩერმენი, ჩრდ. ოსეთი), სადაც მისი მშობლები გიორგი ამილახვარი და ნინო ერისთავი ერთი წლით ადრე გადასახლდნენ. დაბადების ადგილის მიხედვით, ზედმეტ სახელად „ბაზორკას“ ეძახდნენ. 14 წლამდე საქართველოში იზრდებოდა, შემდეგ ოჯახთან ერთად საზღვარგარეთ წავიდა, პარიზში. 1924-1926 წლებში სწავლობდა სენ-სირის სამხედრო სასწავლებელში, მისი დამთავრების შემდეგ მსახურობდა ჩრდილო აფრიკაში მდგარ საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში. 1936 წელს „განსაკუთრებული არჩევანით“ კაპიტნის წოდება მიანიჭეს. ამ ჩინით იგი ყველაზე ახალგაზრდა ოფიცერი იყო მთელ საფრანგეთში.

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში, 1940 წლის თებერვალში, დიმიტრი ჩაირიცხა ალჟირში, სიდი-ბელ-აბესში შექმნილი უცხოური ლეგიონის მე-13 ნახევარბრიგადაში. თავი ისახელა ნორვეგიაში, ნარვიკის ბრძოლაში 1940 წლის მაის-ივნისის დამდეგს. გერმანელთა მიერ ჩრდილოეთ საფრანგეთის ოკუპაციისას ლეგიონი ინგლისში გადავიდა, სადაც თავისუფალი საფრანგეთის შეიარაღებული ძალების პირველი ბირთვი შეადგინა.

კაპიტანი ამილახვარი მონაწილეობდა ერიტრეის კამპანიაში, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 1941 წ. 7 აპრილს ქ. მასაუის აღებისას, სადაც მოულოდნელი შეტევით ხელთ იგდო იტალიელთა რამდენიმე საესკადრო ნაღმოსანი და მრავალი ტყვე. მონაწილეობდა სირიის კამპანიაში და დამასკოს აღებაში.

მას მოუხდა ვიშის კოლაბორაციონისტული მთავრობის სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ ბრძოლაც. ფაშისტებმა და ვიშის მთავრობამ დაუსწრებლად მიუსაჯეს სიკვდილი, პარიზში დარჩენილ მის ცოლ-შვილს (ცოლად ჰყავდა იოსებ იულონის ძე დადიანის ასული ირინე) სდევნიდა გესტაპო და პოლიცია.

დიდი სამხედრო დამსახურებისთვის დიმიტრი ამილახვარს ლეიტენანტ-კოლონელის წოდება მიენიჭა და თავისი — უცხოური ლეგიონის ნახევარბრიგადის მეთაურად დაინიშნა. ამ სამხედრო შენაერთმა გენერალ მ.პ. კენიგის ბრიგადის შემადგენლობაში გმირული წინააღმდეგობა გაუწია გენერალ ე.რომელის გერმანულ არმიას 1942 წ. 26 მაისი — 10 ივნისს „უდაბნოს ვერდენად“ წოდებულ ბირ-ჰაკეიმის 16-დღიან ბრძოლაში. იქ გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა „განთავისუფლების ჯვრით“, რომელიც თვით გენერალმა დე-გოლმა დააბნია მკერდზე და საფრანგეთის ეროვნულ გმირად გამოაცხადა.

დიმიტრი დაიღუპა ჩრდილოეთ ეგვიპტეში, ელ-ალამაინის ბრძოლის დასაწყისში 1942 წ. 24 ოქტომბერს. სიკვდილის შემდეგ დააჯილდოვეს საპატიო ლეგიონის ჯვრით. დაკრძალეს ლიბიის უდაბნოში. 1956 წელს დ. ამილახვრის სახელი მიენიჭა სენ-სირის სამხედრო სასწავლებლის 143-ე გამოშვებას.

ბატონო პრეზიდენტო, ბარემ მისი ოჯახის შემდგომ ბედზეც გიამბობთ: დიმიტრის გარდაცვალების შემდეგ მისმა თანამებრძოლებმა დაღუპულ მეთაურს ქელეხი ქართული წესის მიხედვით გადაუხადეს და მისი ოჯახის წევრებიც მიიპატიჟეს. გაემგზავრნენ დიმიტრის ქვრივი ირინე დადიანი, ცოლისდა და შვილები თამრიკო და ოთარი. გზაზე მანქანა მოცურდა, ხეს შეეჯახა და ირინე და მისი და ადგილზე გარდაიცვალნენ, ბავშვები გადარჩნენ. როდესაც დადიანის ასულთა ცხედრები სახლში მიასვენეს, დიმიტრის დამ — დოდომ, რომელსაც ძმისწულებიც დაღუპული ეგონა, მდ. სენაში დაიხრჩო თავი.

დე-გოლმა დიმიტრი ამილახვრის შვილები საფრანგეთის შვილებად გამოაცხადა და დიდად იზრუნა მათი აღზრდა-განათლებისთვის.

და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას თავშეწირული ეს კაცი, ჩვენი პრეზიდენტის მსუბუქი ხელით, უფრო სწორედ მსუბუქი ენა-პირით, ფაშისტების მხარდამჭერი მოფაშისტო კაუდილიო ფრანკოს თანამოაზრედ და თანამებრძოლად გამოცხადდა!

ახლა კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ძალზე ბევრმა არ იცის.

დიმიტრი ამილახვრის ძმა გახლდათ გმირი ოთარ ამილახვრისა, რომელიც 1924 წლის სექტემბერში, აჯანყების დამარცხების შემდეგ მასობრივი რეპრესიების დროს დახვრიტეს ბოლშევიკებმა.

ეს ოპერაცია ღამით ჩატარდა, გორის სიახლოვეს. ოთარი მარცხენა მხარში დაჭრილა და გული წასვლია. მკვდარი ჰგონებიათ და სხვებთან ერთად ჩაუფლავთ. ასეთი მასობრივი ქლეტების დროს ორმოები გვამებით პირამდე ისე ივსებოდა, რომ წაყრილი მიწა ძლივს ფარავდა. გამთენიისას გონს მოსულა, საძმო საფლავიდან წამომდგარა, გორის გარეუბანში თავისი სკოლის ამხანაგის სახლში მისულა და შველა უთხოვია. კარგად მიუღიათ: ჭრილობა შეუხვევიათ, დაუპურებიათ კიდეც... ამასობაში კი ამხანაგს „სადაც ჯერ არს“ იქ უცნობებია და პურობის დროს, როცა ოთარი მასპინძლებს თავს გადახდენილს უამბობდა, ჩეკისტები წამოსდგომიან. სიკვდილს ერთხელ სასწაულებრივად გადარჩენილი ოთარ ამილახვარი იქვე, ეზოში დაუხვრეტიათ.

აი თითქმის ყველაფერი, რაც ცნობილია დიმიტრი ამილახვარზე. ვფიქრობ ეს სურათი სრულიად განსხვავდება იმისგან, რაც ბატონმა მიხეილმა დაგვიხატა.

თუ მაინცდამაინც ესპანეთში უნდოდა მოეძებნა ფრანკოს ქართველი თანამებრძოლი, შეეძლო დაესახელებინა სახელგანთქმული დიპლომატი ნიკოლოზ (ნიკი) შალვას ძე ჩხოტუა (ჭყონია) — იუსტიციის გენერალი, ესპანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი (ჩილე, მალტა), იგი 1905 წელს დაიბადა ბათუმში, 1921 წლიდან ემიგრაციაში წავიდა. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჯერ საფრანგეთში, შემდეგ — ესპანეთში, სადაც წარმატებული კარიერა გაიკეთა. იყო მალტის ორდენის კავალერი და საპატიო წევრი. გარდაიცვალა 1984 წ. განისვენებს შვეიცარიაში, ლოზანაში. ანდერძის თანახმად, მისი გული თბილისში დაკრძალეს 1988 წლის 26 მაისს.

დაბოლოს: თუ ბატონი პრეზიდენტი თავისი მდიდარი, სხვისთვის ხელმიუწვდომელი წყაროებიდან მაინც ფლობს საიდუმლო ინფორმაციას, ვინმე „ესპანელი ამილახვარის“ შესახებ, გულწრფელად მოვუხდი ბოდიშს მის აღმატებულებას და მადლობას ვეტყვი ქართული ემიგრაციის ამ უცნობი გმირის წარმოჩენისთვის.

ოღონდ, წინდაწინ ვიტყვი, ამის იმედი არა მაქვს!

**ალეკო ასლანიშვილი.**

## განგაში

# ძეგლს ძველი იერი უნდა დავუბრუნოთ!

მადლობა ღმერთს, მჯერა! — ამ წერილს არც მაშინ დააკლდებოდა ყურადღება, ხალხისგან „უჩუმრად“, პირდაპირ ადრესატისთვის რომ გადამეგზავნა! ვიცი, კულტურის სამინისტროშიც და ძეგლთა დაცვის სფეროშიც ისეთი ადამიანები მსახურობენ, რომლებსაც „ფეხებზე არ ჰკიდიათ“ ქართული კულტურა, ქართული სულიერება, ქართული ძეგლები, მაგრამ გადავწყვიტე, ამჟამად, ყველასათვის მისაწვდომად გამომეთქვა ჩემი გულისწუხილი!



ანა ანტონოვსკაიას „დიდი მოურავის“ ერთ-ერთი გმირი პაპუნა წერეთელი უყვება თანამგზავრებს, სოფელ ჯვარში (ომუნეს მთაზე), ოხაჩქუეს მთის ძირას — ენგურის მარცხენა სანაპიროზე მდგარი, დრო-ჟამისაგან გვერდებჩამონგრეული ციხე-კოშკისა და მიმდებარე გორაკის კალთებზე არსებულ უძველეს ნაგებობათა ნაშთების შესახებ.



ეს კოშკი ჩვენს დრომდე იყო შემორჩენილი და აწ განსვენებულ მეცნიერ-ისტორიკოსს, შესანიშნავ მამულიშვილს, თავის დროზე სვანეთის კულტურის ძეგლთა შემსწავლელი ექსპედიციის დამაარსებელსა და ხელმძღვანელს, პროფესორ მიხეილ ჩართოლანს არაერთხელ უთქვამს პირადად ჩემთვის, რომ ომუნეს კოშკი სუფთა კოლხური კოშკია და თავის დროზე მას საერთო კოლხური ქონგურები ამშვენებდაო!

ბატონ მიხეილს ეს ფრაზა არაერთხელ გაუმეორებია საქართველოს ტელევიზიის ეკრანიდანაც! მაშინ მე ამ ტელევიზიაში ვმუშაობდი და ამისი მომსწრე და გამგონე მეც ვარ! ბატონი მიხეილი ჩვენი გადაცემების ხშირი სტუმარი გახლდათ და ამ გადაცემებმა, მართლაც, გააკეთეს თავისი საქმე,—ინტენსიურად დაიწყო სვანეთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის, ციხე-კოშკებისა და მაჩვიბების შესწავლა-აღდგენა-რესტავრაცია!

იმ წლებში აღადგინეს ჯვრის (ომუნეს) ციხე-კოშკიც! მაგრამ წალენჯიხის რაიონის ხელმძღვანელთა უყურადღებობით თუ თვითონ რესტავრატორების თავხედობით, ძეგლს აბსოლუტურად შეუცვალეს ფორმაც და, აქედან გამომდინარე, შინაარსიც. საერთო კოლხური ქონგურების ნაცვლად დაადგეს სვანური კოშკებისთვის დამახასიათებელი სახურავი! არა უშავსო, თქვა ბევრმა და, მართლაც, თითქოს, არა უშავდა! ორივე „არქიტექტურა“ ხომ ქართული იყო და შეიძლებოდა თვალები დაგვეხუჭა „ზოგიერთ“ რამეზე, მაგრამ...

ჩემდა სამწუხაროდ, აღდგენილ კოშკს, მხოლოდ შორიდან ვათვალიერებდი აქამდე და დიდ „პროტესტს“ არ გამოვთქვამდი მომხდარის გამო. ამასწინათ კი, როდესაც გადავწყვიტე კოშკისთვის ყოველი მხრიდან გადამეღო ფოტო, უცნაური თავხედობა აღმოვაჩინე:—ჩრდილოეთის კედლის ზედა ნაწილში (თვალისთვის ნაკლებად შესამჩნევ!) ახლად ჩაშენებულ ლოდზე ამოტვიფრულია „თანამედროვე მშენებლების“ თუ ვილაც „მოხალისეთა“ გვარები!!

გარდა იმისა, რომ აღმაშფოთებელი ფაქტია, ეს გახლავთ ისტორიული გაყალბების თვალნათელი მაგალითი და ასეთ „რესტავრატორებს“ კანონი რასაც უქადის, მკითხველმა ჩემზე უკეთესად უწყის!

ამდენად, კულტურის სამინისტროსა და ძეგლთა დაცვის სამსახურების ეგიდით, ჯვრის (ომუნეს) ციხე-კოშკის კედლებიდან სასწრაფოდ უნდა ამოიკვეთოს უმეცართა გვარ-სახელები, ხოლო სვანური კოშკისთვის დამახასიათებელი სახურავი შეიცვალოს საერთო კოლხური ქონგურებით!

იმედი მაქვს, ზემოთ მოხსენიებული სამსახურები ყურადღებას მიაქცევენ ამ ბარათში დასმულ საკითხებს, თუ არა და განგაში გარდაუვალია, ჯვარელები თვითონ გააკეთებენ ამას!

**ზაურ ფიფია,**
„სრ“ სპეც. კორ.

ჟურნალისტის დღიურიდან

# ქობულეთური გზაწვრილები

### მატარებელში

მე და ჩემმა მეგობრებმა, ჯუბომ და გუბაზმა, წლეულსაც არ ვუღალატეთ ტრადიციას, დადგა თუ არა სექტემბერი, ზაფხულის ხვატისგან გასავათებულებმა, გუდა-ნაკბადი ავიკარით და ზღვაში საყურყუმალაოდ ქობულეთის თვალწარმტაც სანაპიროს მივაშურეთ. მატარებელში, რომლითაც ვიმგზავრეთ, განსაკუთრებული არაფერი გადაგვხდენია. ერთი ეგ იყო, გუბაზს მგზავრობის ფასი ექვირა (ბილეთები ჯუბომ აიღო, მაგრამ ამას ექვირაძ, რა ამბავია 23 ლარი, რაც ფული მაქვს, თუ გზაში დავხარჯე, კურორტზე რომ ჩავალ, იქ რაღა ვჭამოო. ჯუბომ, რომელმაც კარგად უწყის მეგობრის მადის ამბავი, უმალ გაამხნევა:

– არაფერია, ჩვენ 23, მაგრამ ვისაც 40 ლარი გადაახდევინეს, იმან რაღა უნდა თქვასო?

– როგორ, კაცო, – აპრიხა წარბები გუბაზმა, – 40-ლარიანი ბილეთიცა აქვთ?

– აქვთ, აბა არა აქვთ? სამაგიეროდ იმათ ვაგონში 2-ის ნაცვლად 4 ტელევიზორი უდგათ.

გასაგებია, ჩვენთან ორი ტელევიზორია გაფუჭებული, იმათთან – 4. ოთხის შეკეთებას გაცილებით მეტი ფული სჭირდება, ვიდრე ორისას. ეტყობა, ბილეთის ფასიც ამ სხვაობის გათვალისწინებით გაზარდეს, – დაასკვნა გუბაზმა.

### გადათხრილი ქუჩები

ქობულეთის რკინიგზის სადგურზე, როგორც ყოველთვის, ახლაც უამრავი ტაქსი ელოდა დამსვენებელს.

– ბინა გინდათ? დასხედით, ულამაზეს სასტუმროში მიგიყვანთ, – შემოგვთავაზა ულვაშა ტაქსისტმა.

– სასტუმროს ფული ვინ მოგვაშავა, – დაიწუწუნა გუბაზმა, – დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, კერძო ბინაში, პატარა ოთახი გვაქვს ნაქირავები და იქ მიგვიყვანე.

– სიამოვნებით, მაგრამ იცოდეთ, 7 ლარის გადახდა მოგიწევთ.

– შვიდი რა ამბავია, – იუარა ჯუბომ, – ხუთი არ გეყოფა?

– პირდაპირ რომ მივდიოდე, მეყოფოდა, მაგრამ რუსთაველის ქუჩაზე უნდა გავუხვიო და 2 ლარს იმისას ვამატებ.

– მერე ვინა გთხოვა, გაუხვიეო, – ავუშარდით, – შენც ადექი და პირდაპირ იარე!

– ეე, თქვენ, ეტყობა, არ გინახავთ დავით აღმაშენებლის ქუჩა, – გაწყრა მძღოლი, – ამ ზაფხულს ერთხელ უკვე გადათხარეს და ახლა მეორედ მიუტრიალდნენ.

– ეტყობა, საგანძურს მიაგნეს და იმიტომ აღარ ეშვებიან, – იხუმრა გუბაზმა.

– ჰო, შიგადაშიგ ტორფის ნატეხები ამოაქვთ და იმას ეხარბებიან, – არ დაიბნა მძღოლი, – კაი ბიჭები არიან და აბა, ნუ შეასრულებენ პრეზიდენტის დავალებას.

– როგორ, კაცო, – განვცვიფრდით, – შუა საკურორტო სეზონში ქობულეთის გადათხრა პრეზიდენტმა მოიფიქრა?

– თქვენც იტყვით, რა, – შემოგვიტრიალდა ტაქსისტი, – როდის იყო ჩვენი პრეზიდენტი სეზონის მიხედვით აზროვნებდა, – მოეპრიანა ქობულეთის კანალიზაციის სისტემის გამოცვლა და სასწრაფო განკარგულება გასცა. ამ კამათში მძღოლმა თვალის ანგარიში დაკარგა და მანქანამ კაი მოზრდილ ორმოში მოადინა ზღართანი. მანქანას ვინ ჩივის, იმ მოკლე მონაკვეთზე, რომელიც ნორმალურ პირობებში 10 წუთში უნდა გამოგვევლო, მძღოლმა იმდენი გვაჭანჭყარა და გვახათქუნა, რომ დღის 2 საათზე ჩასულები 11 საათისთვის ძლივს გამოვგონგდით.

### ტოქსიკური ზღვაური

უკვე მოსულიერებულებმა პირველ რიგში, რა თქმა უნდა, სანაპიროზე გასეირნება და ქალაქის გამონაბოლქვით გაჭყიპული ფილტვების კამკამა ზღვაურით ჩაკოკლოზინება გადავწყვიტეთ. თურმე სულ ტყუილად, ზღვისპირა ტროტუარი, სადაც დილა-საღამოს დამსვენებლები იოდიანი ზღვაურის სურნელით ტკბებიან, ავტომანქანებით, მოტოციკლეტებითა და ველოსიპედებზე ამხედრებული გოგო-ბიჭებით ისე იყო გადატენილი, როგორც იტყვიან, ნემსის ყუნწი არ ჩავარდებოდა. შეშინებული მშობლები, რომლებმაც აღარ იცოდნენ, როგორ აერიდებინათ ბავშვები მანქანების ბორბლებქვეშ მოხვედრისგან, ერთ გაწამიაწიასა და წივილ-კივილში იყვნენ.

ჩემი მეგობარი გუბაზიც კი, რომელიც ყოველთვის ინარჩუნებს სიმშვიდესა და გონიერებას, ამჯერად ანერვიულდა, სანაპიროზე შემოჭრილ მძღოლებს მუშტების ქნევა და „ლამაზ-ლამაზი" სიტყვებით შემკობა დაუწყო. კარგად დავინახე, როგორ დაიმორცხვა ამ სიტყვების გაგონებაზე ავტომანქანაში მჯდომმა ჩვენთვის ცნობილმა პოლიტიკოსმა, ქალბატონმა ხათუნა გოგორიშვილმა, რომელიც ქობულეთის საკანალიზაციო ციებ-ცხელებამ, როგორც ჩანს, მისი დიდი დამსახურების მიუხედავად, ამ საგზაო ბაქკანალიაში მოახვედრა.

– ასე, მუშტების ქნევით, ვერაფერს გავხდებით, აჯობებს პატრულს გამოვუძახოთ, – ვურჩიე გუბაზს. ეტყობა, ნათქვამი ჭკუაში დაუჯდა, გუბაზმა სასწრაფოდ მობილური დააძრო და იქაურ პოლიციას დაუცაცხანა:

– ძმებო, მანქანებში რომ წამოპლაკულხართ, აქეთ აღარ იყურებით, რა ხდება?

– განა ეგეთი რა ხდება? – გაიკვირვეს წესრიგის დამცველებმა.

– მეტი რაღა უნდა მოხდეს, დამსვენებლებს ზღვისპირას ვეღარ გაგვივლია, მთელი სანაპირო ავტომფლობელებს შტურმით აქვთ აღებული.

– მაგათ რუსთაველის ქუჩაზე შემოვლა ეზარებათ (გზა დანგრეულიაძ და სანაპიროთი სიარულს იმიტომ ამჯობინებენ.

– მერე, თქვენ რას აკეთებთ, – გაჯავრდა გუბაზი, – ეგენი საკუთარ მანქანებს გაუფრთხილდნენ და ჩვენ ტოქსიკური გამონაბოლქვი გვაყლაპონ? მოგვაცილეთ ავტომობილები, თორემ დილაზე პოლიციის წინ დამსვენებლები საპროტესტო აქციას მოგიწყობთ.

ეტყობა, მუქარამ გაჭრა, რამდენიმე წუთში საპატრულო მანქანას მოვკარით თვალი, თუმცა უშედეგოდ – ისიც საცობში აღმოჩნდა გაჩხირული. მე და გუბაზს გვინდოდა მივხმარებოდით (ჯუბოს არ ეცალა, როგორც ყოველთვის, ახლაც ვიღაც გამოეჭირა და რაღაც საკითხზე გავეშებული ეკამათებოდაძ, მაგრამ საცობი იმდენად გრძელი იყო, რომ პატრულამდე ვეღარ მივაღწიეთ...



### საქართველო მიშასია, საქართველო ვანოსია...

ეს ზღვის ზემოთ რაც გადაგვხდა, მაგრამ მეორე დღეს, როცა თავად ზღვაში მოვიწადინეთ თბილისური მზით გადახურებული სხეულის გაგრილება, არც იქ დაგვხვდა სასურველი მდგომარეობა. ზღვაში იმსისხო ქვები ყრია, შესვლისას თუ ფეხი არ მოიტეხე, ცურვისას ახლა იმაზე უნდა იფიქრო, მოზანავეთა შორის მოდგაფუნე სკუტერმა ან ბანანიანმა კატერმა თავი ან ხელი არ წაგაცალოს, გავრცელებული ინფორმაციით, უკვე მომხდარა კიდეც რამდენიმე ტრაგიკული შემთხვევა. ერთ-ერთი ასეთი „ავარიის" დროს ორი სკუტერი ერთმანეთს შესჯახებია, ორივეზე თურქები მსხდარან, ერთს იქვე განუტევებია სული, ხოლო მეორე მძიმედ დაშავებულა. დამსვენებლებს ამის გამო ერთი ამბავი აუტეხავთ – ჩვენ მშვიდად გვინდა დასვენებაცა და ცურვაცო.

როგორც ქობულეთელებისგან შევიტყვეთ, ამ ფაქტთან დაკავშირებით, კურორტზე სასწრაფოდ ჩამოსულან მერაბიშვილი, კოდუა, კეზერაშვილი და სასტიკად აუკრძალავთ სკუტერიც, კატერი, და პარაშუტით ფრენაც. ეს სხვებისთვის, მაგრამ თავად სამივენი ზღვაში შორს გასულან და სკუტერებით „საჩვენებელი დოლი" გაუმართავთ. ამის შემხედვარე სკუტერებისა და კატერების მეპატრონეეთ უთქვამთ, რავა, თუკი მაგათთვის შეიძლება სკუტერებით „მარიაჟობა", ჩვენ, რომლებსაც სეზონის დაწყებამდე ზღვაში შესვლისათვის 500-500 ლარი გადაგვახდევინეს, რა ნამუსით უნდა აგვიკრძალონ მუშაობაო.

ჰოდა, მას შემდეგ არის ზღვაში სკუტერ-კატერთა ერთი გრიალ-გნიასი და პარაშუტების ფრიალ-ფრიალი. ეგ კი არა, ერთმა ბათუმელმა ახალი ბულვარის დათვალიერებისას გაგვანდო, აი ის თეთრი იახტა, „ტორნადო 11" რომ აწერია, პირადად მიშასია, ხოლო მეორე, ნაცრისფერი, კოსმოსურ ხომალდს რომ ჰგავს, ვანოსიო. აქანე რომ ჩამოდიან, ჩასხდებიან და მთელი დღე ზღვაში ნებივრობენო. უნებლიეთ საბავშვო სიმღერა („საქართველო ანოსია, საქართველო ვანოსია"ძ გამახსენდა და ვიფიქრე, ურიგო არ იქნება, თუ ვინმე მოიფიქრებს და მცირედი ცვლილებით – „საქართველო მიშასია, საქართველო ვანოსია" – ზრდასრულთა საერთო-სახალხო სიმღერად აქცევს-მეთქი.

არ ვიცი, თემის გაგრძელებად ჩამეთვლება თუ არა, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, ქობულეთი უნიკალურ კურორტთა რიცხვში იმიტომ შედის, რომ ზღვის სიახლოვეს ფიჭვნარია და იქ გატარებული დრო დიდად სასარგებლოა ადამიანისთვის. პლაჟიდან მზის მცხუნვარებას გამოქცეულმა, შეგიძლია ფიჭვნარში შეაფარო თავი, მაგრამ რად გინდა, თუ საკუთარი სკამი არ იქონიე, ვერსად ჩამოჯდები (!ძ. თემურ ჭყონიას კი აქვს ედემად ქცეული ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს ბაღი, მაგრამ ჩვენნაირ ღარიბს იქ ვინ შეასუნინებს?

რაც შეეხება ალებ-მიცემობას, პლაჟზე ძველებურად ისევ „საფეხმავლო ვაჭრობა" პრიორიტეტობდა. ასორტიმენტის სიუხვეც იყო (ცხელი სიმინდი, ცივი სასმელები, გოზინაყი, ტყლაპი, ნედლი და გამხმარი თხილი და კიდევ რა აღარძ, მაგრამ ყველაფერს ცეცხლი ეკიდა. კიდევ კარგი ზღვა ზედვეა, თორემ ქობულეთი ფასების ხანძარს ნამდვილად ვერ გადაურჩებოდა. ჰოდა რა გასაკვირია, თუ ასეთ ცეცხლის კიდებაში ისეთ ხელგაშლილ დამსვენებელსაც კი, როგორც ჩემი მეგობარი გუბაზია, ხელის ჯიბეში ჩაყოფა ეზარებოდა. ნირწამხდარი ჩანდნენ „ზოროსა" და „სპაიდერმენის" ტანსაცმელში გამოწყობილი „ფოტოგრაფებიც", რომლებსაც ხელმომჭირნე დამსვენებლები ციფრული აპარატებითა და მობილურებით სურათს იქით უღებდნენ. ვერაფერს იზამ, კრიზისმა ყველას ჯიბეში მოაფათურა ხელი, მათ შორის პლაჟის ყველაზე ცნობილ „დათვკაცას" ჯიბეშიც, რომელიც თურმე იმდენ ფულსაც ვეღარ შოულობს, რომ ოჯახის მარჩენალი ბელი გამოკვებოს. ერთადერთი, ვინც კრიზისის კლანჭებს გადაურჩა, ნამინისტრალი კახა ბენდუქიძეა, რომლის ჟურნალის („ტაბულა"ძ რეკლამას ქობულეთის 13-კილომეტრიანი პლაჟი ბრაზილიური მაისურივით აუჭრელებია. იქით გაიხედავ – „ტაბულა" შეგეჩეხება, აქით გამოიხედავ – „ტაბულა" აგედევნება, პლაჟზე დაწვები – „ტაბულაც" გვერდით მოგიწვება, საშხაპეში ან ტუალეტში თუ შეხვედი, იქაც გამოგეკიდება...

### რატომ ორი სალარო?

უკანაგზობაზე მატარებლის ბილეთების აღება კვლავ ჯუბომ ითავა, ოღონდ რკინიგზის სადგურიდან რატომღაც განერვიულებული დაბრუნდა.

– რა არის ჯუბო, – ვუსაყვედურე, – ამდენი დასვენების შემდეგ ნერვები კიდევ ვერ დაიწყნარე?

– რა დამაწყნარებს, როცა ამდენ უთაურობასა და უსამართლობას ვუყურებ? მთელი საათი მაყურყუტეს ბილეთების რიგში, ეს იმ დროს, როცა მეორე სალაროსთან ორი კინკილა მგზავრი თუ იდგა.

– შენც იმ მეორეში აგეღო ბილეთი, რაღა მაინცდამაინც პირველს მიადექი?

– ვინ მიმიშვა, თორემ კი, იმ სალაროში მხოლოდ სომხებს აძლევენ ბილეთს.

– ვაა, ეგ როგორ, კაცო, – ავვიშვიშდი, – ამ მაღალცივილიზებული დემოკრატიის ხანაში რკინიგზის სალაროების ეროვნული ნიშნით დაყოფა სად გაგონილა? რომ გეთქვა, სომეხი ვარო, – შევაპარე, – რას მიხვდებოდნენ?

– რას მიქარავ, – გამიბრაზდა ჯუბო, – ეგღა მაკლია ჩვენი ქერქეტა ხელისუფალთა უგუნურების გამო მშობლიურ საქართველოში თავი სომხად გავასაღო.

– მართლა სომხად კი არ იქცეოდი, შე კაცო, – ვცადე სიტუაციის განმუხტვა, – უბრალოდ ბილეთი გექნებოდა სომხურ სალაროში აღებული. ამას თავი დავანებოთ, ვთქვათ, აზერბაიჯანელი მივიდა სადგურში, იმან რომელ სალაროში უნდა აიღოს ბილეთი, სომხებისაში თუ ქართველებისაში?

– მაგაზე საქართველოს რკინიგზის ხელძღვანელობა გაგცემს პასუხს, – მომიგდო ჯუბომ და კარი გაიჯახუნა.

... მეორე დილას ოჯახის პატრონთან ერთად, როგორც წესი, ზღვასაც გამოვემშვიდობეთ. ვითომ ამქვეყნიური ბედუკუღმართობისა არაფერი სმენიაო, იწვა და მშვიდად ფშვინავდა. მზე უკვე ამოწვერილიყო და, პოეტის თქმისა არ იყოს, ვარდთა და ნეხვთა, მდიდართა და უპოვართ, თანაბრად მოეფინებოდა.

**ოთარ ხუციშვილი,**

ქობულეთი,
2010 წლის სექტემბერი.

ინფორმაცია



## ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების სააგენტო უქმდება

ჯანმრთელობისა და სოცილაური დაცვის პროგრამების სააგენტო უქმდება. ეს ინფორმაცია ჯანდაცვის მინისტრმა ანდრია ურუშაძემაც დაადასტურა. მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბარში სააგენტოს გაუქმების გადაწყვეტილება სამინისტროში მიმდინარე სტრუქტურლი ცვლილებებით ახსნა.

ასევე, ურუშაძისვე განმარტებით, სამინისტროს ამოცანაა, რომ 350 მილიონი ლარი, რომელსაც სამინისტრო ჯანდაცვის პროგრამებზე ხარჯავს ეფექტურად და გამჭვირვალედ იხარჯებოდეს. მისივე თქმით, ეს ფული ბიუროკრატიულ დერეფნებში აღარ უნდა იკარგებოდეს.

ХО-ЭОВ-ЭБО

**პროგნოზი და რეალობა**

# „შეუნიღბავად შენიღბული“ პრივატიზება,



## ანუ რატომ სხვისდება ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტები კანონით აკრძალვის მიუხედავად და რატომ მცირდება პრივატიზებით დაგეგმილი შემოსავალი?

**ბოლო წლებში საქართველოს მთავრობას ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ სახელმწიფო ქონების პრივატიზება აქვს არჩეული. თუ რა სიკეთე მოუტანა ამან მთლიანად მოსახლეობას, ცალკეული მთელი დარგების სპეციალისტებს, ეს სხვა საუბრის თემაა, ახლა გვინდა წლეულს შექმნილ მდგომარეობაზე ვილაპარაკოდ.**

საიმისოდ კი, რომ საპრივატიზაციო გეგმა „მდგრადი განვითარების“ სამინისტროს შარშანდელივით არ ჩაუვარდეს, როცა წლის მიწურულს გეგმა რეალურად შესრულებულ ნიშნულამდე საზეიმო პატაკის ჩასაბარებლად 40 მილიონი ლარით შეუმცირეს, სულ მცირე ორი პირობაა შესასრულებელი: ერთი რომ **აუქციონზე გამოტანილი ობიექტები უნდა იყიდებოდეს,** რისთვისაც რეალური მყიდველი უნდა არსებობდეს, მეორე კი ის, რომ ამ **მყიდველს შესაბამისი, უწინარესად, ფისკალურად უსაფრთხო გარემო უნდა ხვდებოდეს.** თუ როგორ და რამდენად ხორციელდება ან ერთი, ან მეორე, ქვემოთ განვიხილოთ.

დავიწყოთ იმით, რომ ბოლო დროს აუქციონზე გამოტანილი სახელმწიფოს კუთვნილი მსხვილი ობიექტებიდან, თუ არ ვცდებით, მხოლოდ ვაკის სამკურნალო კომბინატი გაიყიდა 7,3 მილიონ დოლარად. დანარჩენებზე ლაპარაკიც მოგვბეზრდა თუნდაც იმის გამო, რომ ამ სიას აგერ უკვე მერამდენე წელია, მთავრობის სამარცხვინოდ, სათავეში უდგას ყოფილი გამომცემლობა „სამშობლოს“ საბოლოოდ გაპარტახებული, თავის დროზე 20 მილიონ დოლარად შეფასებული შენობა, საიდანაც ათოზით რედაქცია და ასოზით ჟურნალისტი ყოველგვარი მორიდების გარეშე გამოგვყარეს.

> **ინფორმაცია თემაში**
>
> *სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისი მუხლის თანახმად, წლევანდელი საპრივატიზაციო გეგმაა 170 მილიონი ლარი. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემებით, წლის პირველი ნახევრის გეგმა გადაჭარბებით, 36 მილიონი ლარითაა შესრულებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლო ექვს თვეში „სულ რაღაც“ 134 მილიონი ლარიღაა მისაღები.*

ამდენად, რა გასაკვირია, რომ ახლა მსხვილი სახელმწიფო კომპანიების (მათ შორის „საქართველოს რკინიგზის“, ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ძ აქტივების „ნაწილობრივ გასხვისებაზე ალაპარაკდნენ.

სიტყვამ მოიტანა და „საქართველოს რკინიგზასთან“ დაკავშირებით ვიტყვით რამდენიმე სიტყვას. შარშან რედაქციამ მის ხელმძღვანელობას ვრცელი ოფიციალური წერილობითი შეკითხვით მიმართა კომპანიის აქტივების გაყიდვა-არგაყიდვის თაობაზე. სამი თვის ლოდინის შემდეგ (!ძიქაურმა პრესსამსახურმა არაოფიციალურად „ნწ“ გვითხრა და საუბარიც ამით მოამთავრა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ჩვენი აზრით მეტად საგულისხმო გარემოებას გვინდა მივაქციოთ თქვენი ყურადღება, პატივცემულო მკითხველო. იმისდა მიუხედავად, რომ „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონში გარკვევითაა ნათქვამი, რომ ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სტრატეგიული ობიექტები, მათ შორის „საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურების ნავმისადგომები“ პრივატიზებას არ ექვემდებარება, ასეთი ნავსადგური კი, მოგეხსენებათ, საქართველოს სადღეისოდ მხოლოდ ორი აქვს – ბათუმი და ფოთი, მათ უცხო კომპანიები უახლოესი 99 და 49 წლის განმავლობაში განკარგავენ.

> **ინფორმაცია თემაში**
>
> *ფოთის ნავსადგურის თხუთმეტივე ნავმისადგომი და ტერმინალი კომპანია „რაკინს“ განკარგვაში აქვს გადაცემული 99 წლის (!) ვადით, ხოლო „ბათუმი ინდასთრიზ ჰოლდინგი“ ბათუმის ნავსადგურის ნავთობჩამომსხმელ, საკონტეინერო, სარკინიგზო-საბორნე (ბათუმი-ვარნა), მშრალი ტვირთისა და სამგზავრო ტერმინალებს 49 წლის ვადით განკარგავს.*

განა ეს „შეუნიღბავად შენიღბული“ პრივატიზება არ არის, რომელიც სადღეისოდ „გასხვისებაგაჭირვებულ“ ქვეყანაში მოხდა?!

რაც შეეხება ინვესტორთა სტრატეგიული ობიექტებით დაინტერესებასა და ამ ინტერესთა მამოძრავებულ ქვენა დინებებს, ეს ცალკე მსჯელობის საგანია, მაგრამ, როგორც ვხედავთ, მათი სხვა ობიექტებით დაინტერესება კლებულობს, რასაც წლეულს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადის საგრძნობი შემცირება მოწმობს.

სადღეისოდ ამ მონაცემმა 80 მილიონ დოლარს გადააჭარბა, რაც თითქმის 40 პროცენტით ნაკლებია შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

ეჭვი არ არის, რომ საინვესტიციო გარემოს ბოლო წლების მაჩვენებლების შესამჩნევ კლებაზე დიდი გავლენა მოახდინა როგორც 2008 წლის საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიამ და მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა, ისე მთავრობის მიერ მსხვილი ბიზნესის მიმართ გატარებულმა დრაკონულმა მეთოდებმა, რის შედეგად დააკავეს „ენერჯი ინვესტის“, „მათე მოტორზის“, „ტექნობუმის“, „ელიტ ელექტრონიქსის“ და სხვათა ხელმძღვანელები. შეუძლებელია ყოველივე ამას უარყოფითი ზეგავლენა არ მოეხდინა როგორც საპრივატიზაციო, ისე საინვესტიციო გარემოზე. უცხოური სოლიდური ფინანსური წრეების წარმომადგენელთათვის საქართველო ერთგვარი შმაგი ეკონომიკურ-ფისკალური მორევია, რომლის ნაკადის ძირითადი მიმართულების განჭვრეტა შეუძლებელია მთავრობის ბროუნის ქაოტური მოძრაობის მსგავსი მოქმედებების გამო, რომლის შესახებ ფიზიკის სახელმძღვანელოდან მე-6 კლასის მოსწავლემაც იცის. როგორც ჩანს, ბევრ ვერაფერს ვერც ახალი საგადასახადო კოდექსი შეცვლის, რომლის შესახებ დაწვრილებით ლაპარაკი მომავალში აუცილებლად გვექნება. მეტად საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ეროვნული ეკონომიკის ორ მესამედზე მეტი არალეგალურია, რაც ისეთმა ავტორიტეტმა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტმა აღიარა, როგორიცაა მსოფლიო ბანკი.

**თუმცა რომელ ახალ ინვესტიციებზეა ლაპარაკი იმ დროს, როცა საქართველოში აქამდე მოქმედი საწარმოებიც კი იხურებიან და აქტივები ქვეყნის ფარგლებს გარეთ გააქვთ. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ შიდა ბაზარზე მოხმარებული უცხოური პროდუქციის რეალიზებიდან მიღებული შემოსავლის 60 პროცენტი (!) ისევ ქვეყნის საზღვრებს გარეთ გაედინება, რაც კიდევ ერთხელ ააშკარავებს ხელისუფლების მხრიდან ადგილობრივ მეწარმეთა მიმართ გატარებულ აშკარად არაკეთილმოსურნე პოლიტიკას.**

> **ინფორმაცია თემაში**
>
> *კიდევ ერთი, შედარებით „წვრილფეხა“ დაახლოებით 300 ათასი ლარის, ღირებულების“ მაგალითია აგვისტოში ვანის სატყეო უბანზე, 10 წლით ტყით სარგებლობისთვის ხე-ტყის დამზადების ლიცენზიის გასაყიდი აუქციონის ჩაშლა... განაცხადის შემოუტანლობის გამო!*

**ოთარ ტურაბელიძე**

**მოსაზრება**

# შევრცხვებით!

***ახალი კონსტიტუციის პროექტით, რომელიც ითვალისწინებს ვენეციის კომისიის რეკომენდაციას, პრეზიდენტის ხელისუფლება ისეთი უნდა იყოს, როგორც განვითარებულ, კულტურულ ქვეყნებშია. ჩვენი პრეზიდენტი არ ეთანხმება ამ რეკომენდაციებს და მოითხოვს პრეზიდენტის უფლებამოსილების გაზრდას, რაც, ჩვენი აზრით, დაუშვებელია.***

ათეული წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფოს მეთაურის სურვილების მიხედვით კონსტიტუციის ცვლას, ან მასში შესწორებების შეტანას. ამ მავნე ტრადიციას ნუ ვუერთგულებთ.

ჩვენი ამჟამინდელი ხელისუფლება აშშ-ის დიდი მოტრფიალეა, მაგრამ, ეტყობა, მას ამერიკა ალაგ-ალაგ მოსწონს.

ცნობილია, რომ აშშ-ის კონსტიტუციაში, რომელიც 1787 წელს შეიმუშავეს და 39 კაცმა მიიღო, დღემდე სულ 30-მდე დამატებაა შეტანილი. ნუთუ ეს ფაქტი კარგი მაგალითი არ უნდა იყოს იმათთვის, ვინც კონსტიტუციას ცალკეული პიროვნებების ხუშტურების მიხედვით ადგენს და არა ზოგადსაკაცობრიო იდეების საფუძველზე? კი ბატონო, პრეზიდენტის ძლიერი ხელისუფლება არ არის ცუდი იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტს ქვეყნის მართვა შეუძლია, მაგრამ თუ იგი, რბილად რომ ვთქვათ, ხანდახან აფრენს? ასეთი ადამიანებიც ხომ ხვდებიან სახელმწიფოს სათავეში? თუ ეკატერინე II მსგავსნი მოვლენ სახელმწიფოს სათავეში, მათ შეიძლება დიდი ძალაუფლება მისცე, მაგრამ თუ მისი შვილის – პავლე I თვისებებით „დაჯილდოებულები“ დაეპატრონენ ქვეყანას, მაშინ?

დარწმუნებული ვარ, ჩვენი პარლამენტი მიიღებს კონსტიტუციის წარმოდგენილ პროექტს ისე, როგორც ეტყვიან, მაგრამ, თანამედროვე პირობებში, როდესაც ვცდილობთ ვეზიაროთ დასავლეთის, ანუ „გლობალურ ცივილიზაციას“, ვენეციის კომისიის რეკომენდაციის გაუთვალისწინებლობა შეარყევს ჩვენს ავტორიტეტს მსოფლიოს თვალში.

შევრცხვებით!

**ვაჟა თვალავაძე.**

**ინფორმაცია**

### რასმუსენი: საქართველოს ნატოში მიპატიჟება ძალაშია

**საქართველოს ნატოში მიპატიჟება ძალაშია – ეს განცხადება ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდრეს ფოგ რასმუსენმა გააკეთა.**

**„ჩვენი კარი ღიაა. ეს ჩვენი ფილოსოფიის ნაწილია და ძირეული პრინციპი. თითოეულმა ქვეყანამ თავად უნდა გადაწყვიტოს თავისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები და ისიც თუ რა კავშირებში სურს მას გაწევრება“, – განაცხადა რასმუსენმა რუსულ მედიასთან საუბარში.**

**მან ასევე გაიხსენა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთმა და ნატოს წევრმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს შესაბამის პრინციპს და 1997 წლის აქტს ასევე 2002 წლის რომის დეკლარაციას.**

### ცხინვალში „ოსტელეკომის“ ოფისი გაიხსნა

**ცხინვალში ფიჭური კავშირგაბმულობის ახალი ოფისის „ოსტელეკომის“ გახსნის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, „ოსტელეკომის“ პარტნიორი რუსული კომპანია „მეგაფონია„.**

**„ოსტელეკომის“ ოფისის გახსნას ოს სეპარატისტთა ლიდერი ედუარდ კოკოითი და ცხინვალში ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დაარსების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ჩასული ყველა სტუმარი ესწრებოდა.**

**ოსური მედია აღნიშნავს, რომ „ოსტელეკომი„ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მოქმედი ერთადერთი ფიჭური კავშირგაბმულობის ოპერატორია, რომლის დაფარვის ზონაშიც შედის – ცხინვალი და მისი რაიონი, ჯავის რაიონი, ახალგორისა და ზნაურის რაიონები.**

### ტარიელ ონიანი „დედ ჰასანზე“ განხორციელებულ თავდასხმას უარყოფს

**ამის შესახებ „ინტერფაქსი“ იუწყება. სააგენტო ციტირებს ონიანის ადვოკატის ნიკოლოზ მდინარაძის სიტყვებს, რომელიც აცხადებს, რომ ტარიელ ონიანი კატეგორიულად უარყოფს ასლან უსოიანზე, იგივე „დედ ჰასანზე“ განხორციელებულ თავდასხმასთან რაიმე კავშირს.**

**ასლან უსოიანს რამდენიმე დღის წინათ თავს დაესხნენ. იგი სნაიპერული შაშხანის გამოყენებით დაჭრეს. „დედ ჰასანი„ გადარჩა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელია.**

### „მის საქართველო 2010“ დეა არაყიშვილი გახდა

**„მის საქართველო 2010“ დეა არაყიშვილი გახდა, რომელიც „მის მსოფლიოზე“ საქართველოს ოქტომბერში წარადგენს. 20 წლის ლამაზმანი ათკაციანმა ჟიურიმ გამოავლინა და მას გარდამავალ დიადემასთან ერთად ავტომობილიც გადაეცა.**

**„მის საქართველოს“ 23 მონაწილე ჟიურის წინაშე სამ განსხვავებულ ფორმაში წარსდგა. კოქტეილის კაბები, საცურაო კოსტიუმები და სპორტული სამოსი - საკუთარი ფიზიკური მონაცემების დემონსტრირებას მისები ასე ცდილობდნენ.**

**სილამაზის კონკურსზე გამოვლინდა ასევე მის მეგობრობა, ინტელექტი, მომხიბვლელობა, ელეგანტურობა, გრაცია, ტელეგენურობა და ექსტრავაგანტურობა.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ აკაკი წერეთელი – 170

# „სულიკო“ პოეტის სამშობლოში

## ტრიო „ბრავოს“ და მთელი დარბაზის შესრულებით



**საჩხერეში ფართოდ აღინიშნება დიდი აკაკი წერეთლის 170 წლის იუბილე.**

სოფელ სხვიტორში, სადაც დაიბადა და გაიზარდა ქართველი მგოსანი, პოეზიის დღესასწაული 17 ოქტომბრამდე გაგრძელდება და მასში მონაწილეობას მიიღებენ როგორც თანამემამულეები და მადლიერი შთამომავლობა, ასევე სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრები.

საიუბილეო დღეები გაიხსნა საჩხერის ოზოლა ციმაკურიძის სახელობის კულტურის ცენტრში, სადაც გაიმართა ცნობილი ინსტრუმენტული ტრიო „ბრავოს“ კონცერტი. მევიოლიონე გალინა ზანდურამ, რომელსაც ღირსეულ პარტნიორობას უწევდნენ ალტისტი ანატოლი დანელიანი და პიანისტი ალიონა ტურტურჯანი, შესანიშნავად და შემართებით შეასრულეს ქართველი, დასავლეთევროპელი და ამერიკელი კომპოზიტორების მელოდიები. საღამოს ამშვენებდა ქართველი კომპოზიტორის და სახალხო არტისტის ვაჟა აზარაშვილის თანხლება, რომელმაც გულიანად იმღერა თავისი ცნობილი ძველი და ახალი სიმღერები.



როგორც საჩხერის რაიონის მუნიციპალიტეტის კულტურის სამმართველოს უფროსმა ლევან ჩხეიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, აკაკიობის პროგრამის ფარგლებში, საჩხერის ადგილობრივ კინოთეატრში და სხვა მრავალ კულტურულ დაწესებულებაში ჩატარდება სხვადასხვა ღონისძიება. მათ შორის: მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში მოეწყობა კონკურსი „ჩვენ ვკითხულობთ აკაკის“, ჩატარდება აგრეთვე პრეზენტაცია წიგნისა – „აკაკი – მართლმადიდებლობის ღირსეული მსახური და მქადაგებელი“, ვიქტორინა – „ვინ უფრო უკეთ იცნობს აკაკის“, სამხატვრო გამოფენა – „პოეტის შემოქმედების მოტივებზე“, ქართული მართლწერის კონკურსი – „აკაკის კალამი“, ჩვენება ფილმებისა – „აკაკის აკვანი“ და „რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობა“. გაჟღერდება პოეტის ლექსებზე შექმნილი სიმღერები.

17 ოქტომბერს, დღესასწაულის მთავარ დღეს, იგეგმება პოეტის ძეგლის საპატიო გვირგვინით შემკობა და სხვიტორის წმ. ნინოს სახელობის ტაძარში აღევლინება პოეტის მოსახსენიებელი პარაკლისი.

ამავე დღეს, სხვიტორის აკაკი წერეთლის მუზეუმში დაასახელებენ საჩხერის საპატიო მოქალაქეებს, ამავე მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზში კი გაიმართება საქართველოს კულტურის სამინისტროს, კინოსა და მუსიკის ეროვნული მუზეუმის მიერ ორგანიზებული ფოტოგამოფენა.

საჩხერის მუნიციპალიტეტის თაოსნობით, პოეტის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე ასევე მოეწყობა სხვადასხვა სახის თეატრალიზებული და მხატვრული წარმოდგენები, სპორტული შეჯიბრებები და სახალხო სეირნობა.

საჩხერის კულტურის ცენტრში მოეწყობა ფოტოგამოფენა – „აკაკი და წერეთლების საგვარეულო“.

უყურადღებოდ არ დარჩება ასევე სოფელი სავანე, სადაც აკაკი გლეხი ძიძის ოჯახში იზრდებოდა.

* * *

საჩხერის ოზოლა ციმაკურიძის სახელობის კულტურის ცენტრში ინსტრუმენტული ტრიო „ბრავოს“ კონცერტის დასრულების შემდეგ სტუმრები სხვიტორს ეწვივნენ, სადაც მათ თბილად შეხვდნენ ტარას შევჩენკოს სახელობის სკოლის კოლექტივი და დირექტორი ალიკო ზამბახიძე, რომელმაც უამრავი საინტერესო ამბავი უამბო სტუმრებს აკაკი წერეთლისა და ტარას შევჩენკოს მეგობრობის შესახებ.

სკოლის თანამედროვე შენობის დათვალიერებისას აღინიშნა, რომ სკოლის კოლექტივს, ასევე ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა მოღვაწეებს არა მხოლოდ საჩხერის რაიონში, არამედ საქართველოს ბევრ ქალაქსა და სოფელში ძალიან დიდ დახმარებას უწევს ქართველი ქველმოქმედი, რომელიც კეთილი საქმეების კეთებას უხმაუროდ ამჯობინებს. მის მიმართ მადლიერება გამოხატა ასევე ვაჟა აზარაშვილმაც, ადგილობრივმა მოსახლეობამ და რაიონის ხელმძღვანელობამ.

კონცერტის წამყვანმა ლია ვეშაპიძემ, რომელიც საჩხერის რაიონის კულტურის სამმართველოს მთავარი სპეციალისტია, დამსწრე საზოგადოებას უამბო, რომ აკაკიობა 1976 წლიდან იღებს დასაბამს, თუმცა მშობლიურ მხარეში პოეტის სიცოცხლეშივე – 1908 წელს გამართულა დიდი იუბილე. რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობა მოხდა 1912 წელს და ის ასახულია პირველ ქართულ სრულმეტრაჟიან ამავე სახელწოდების ფილმში, რომელმაც თავის მხრივ საფუძველი ჩაუყარა ქართულ კინემატოგრაფიას.

მაშ ასე, იუბილის აღნიშვნის ტრადიცია აღდგენილია, თანაც 170 წელი ისეთი თარიღია, რაც ნამდვილად ყურადღებას იმსახურებს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჭეშმარიტი პოეზია და შემოქმედება უკვდავია. ასევე იქნება XXI საუკუნეშიც და სამარადჟამოდ.

დასასრულ, კონცერტის მონაწილეებმა და სტუმრებმა კიდევ ერთხელ ერთობლივად იმღერეს უკვდავი და სულში ჩამწვდომი „სულიკო“, რითაც გამოხატეს უსაზღვრო სიყვარული ამ დიდი შემოქმედის მიმართ.

**მაშია ალაშვილი,**
**ავტორის ფოტო.**

◎ ეს ოცდამეერთე საუკუნეში ხდება

# ერთი სიყვარულის ისტორია

**„მაშინ მოვა სიყვარული, როცა სულაც არ ელი“, – აუცხადდა პოეტის სიტყვები ქალბატონ თინათინ ბარამიძეს – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მთელი ქართული სამედიცინო ინტელიგენციის ერთ-ერთ გამორჩეულ პიროვნებას...**

... ცხოვრობდა თავისთვის მარტო მშვენიერი ქალი – ეტრფოდა „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“, ეთაყვანებოდა ყოველივე ქართულსა და ეროვნულს... წიგნი იყო მისი მესაიდუმლე... და აი, ერთი წიგნის წაკითხვის შემდეგ...

**– ოთხმოციანი წლების ბოლო იყო, – მიამბობს ქალბატონი თინა, – წიგნის მაღაზიაში შევედი, ვათვალიერებ თაროებს და მზერა შევაჩერე კიტა ბუაჩიძის ახალგამოსულ წიგნზე – „გრძელზე გრძელი უსტარი ვიქტორ ასტაფიევს“. ნუთუ ესეც ბედისწერა იყო რამდენიმე ცალი შევიძინე... გვიანობამდე ვკითხულობდი წიგნს და ვგრძნობდი, როგორ მეძვირფასებოდა უკვე მისი ავტორი. კიტა ბუაჩიძე როგორ არ გამეგო, მისი „ეზოში ავი ძაღლია“ ნანახი მქონდა, მაგრამ ეს მძაფრი, ეროვნული მგზნებარებით აღსავსე სტრიქონები სულ სხვა იყო ჩემთვის... წავიკითხე მეორედ, მესამედ... უკვე ადგილები ზეპირად ვიცოდი... მის ავტორს ჩემთვის ჩუმად ვესაუბრებოდი... გამიკრთა ძილი, დავკარგე მოსვენება, ბატონ კიტას ვეძებდი, მისი გაცნობა მსურდა...**

**ისევ განგება ჩაერია... რამდენიმე ხნის შემდეგ – 1994 წლის ერთ დღეს ჩემი მეგობარი ლუარა გორდიევიჩი მეუბნება, ხვალ 12 საათზე ბატონ კიტა ბუაჩიძესთან ვარ მისასვლელიო... წამოვენთე, „კიტა ბუაჩიძესთან ხარ მისასვლელი?.. გადაეცი, რომ მე ზეპირად ვიცი მისი წიგნები!..“**

**მეორე დღეს ლუარა მირეკავს, ბატონი კიტა ძალიან დაინტერესდა და თქვა: იქნებ მოვიდეს ეს ქალბატონი ჩემთანო... როგორმე ხვალ წავიდეთო. ღმერთო, რა დღეში ჩავვარდი!.. დავფაცურდი – მურაბებში შევარჩიე „ჩორნაია სმოროდინა“. მაგრამ კიტა ბუაჩიძეს ასე ხომ ვერ ვეტყვი?.. რა ვქნა, ნეტავ, ქართულად რა ჰქვია?.. გადმოვიღე ლექსიკონი, „სმოროდინა“ – მოცხარი ყოფილა... თაფლიც გადავასხი ჭურჭელში, ნამცხვარი მოვამზადე... მოხუცია მაინც, ესიამოვნება... მივედით მე და ლუარა... ღმერთო, როგორც ძველი ნაცნობი, ისე მიმიღო... ვსხედვართ, შევცქერით ერთმანეთს, ვსაუბრობთ, ვსაუბრობთ... 12 საათზე მისულები საღამოს 6 საათზე დავემშვიდობეთ ბატონ კიტას... ჩაიწერა ჩემი ტელეფონი, გულთბილი წარწერით მისახსოვრა წიგნები...**

**ლუარამ სახლამდე მიმაცილა, მინდა მარტო დავრჩე საკუთარ თავთან, გავაანალიზო დღევანდელი საოცარი დღე... შემოვალ, ერთ ფინჯან ყავას დავლევო, ლუარამ.**

**ცოტა ხანში ტელეფონი რეკავს, ვიღებ ყურმილს, მე ვარ, კიტა ვარო... ლუარა თუ მანდ არის, ნეტა მეც თქვენთან ვიყოო... ატყდა იმ დღიდან რეკვები... ერთ დღესაც მეუბნება, მიყვარხართო... რა ვქნა, ხმას ვერ ვიღებ, მერე ვეუბნები, მეც დიდ პატივს გცემთმეთქი... ერთ დღეს მირეკავს, ჩემი „შავზე შავი წიგნი“ გამოვიდა, მინდა გაჩუქოთ, მაგრამ გამომგზავნი არავინ მყავსო. მე მოვალ-მეთქი, დაუფიქრებლად ვუპასუხე, მივედი, ვისაუბრეთ პირადულ ამბებზე, საქართველოს პრობლემებზე, ხალხის გაუსაძლის მდგომარეობაზე... მაშინ მივხვდი, რომ მეც მიყვარდა იგი... მეორე მისვლაზე მივუტანე დეკორატიული ჭიქა, ნამცხვარი... და ასე... მერე ჩაერივნენ ჩვენი ძვირფასი ადამიანები – გიზო ნიშნიანიძე და გუჯა ბუბუტეიშვილი, გამოაწყვეს სასიძო კოხტად, მოვიდნენ ჩემს წასაყვანად, ოჯახში დაგვწერეს ჯვარი, გადაგვიხადეს**



**ქორწილი... იმხანად კიტა 81 წლის იყო, მე – 65-ის.**

**– და როგორ ცხოვრობდით?**

**– ჩავურთე ქალბატონ თინას, აქამდე რომ პირდაღებული მივჩერებოდი.**

**– დამიჯერეთ, ეს უბედნიერესი წლები, უბედნიერესი დღეები იყო ჩემთვის... მართალია, კიტა კვლავაც თავის ბინაში ცხოვრობდა, მე კი – აქ, მაგრამ ჩვენ ყოველდღე ერთად ვიყავით... მე გავხდი მისი მზრუნველი, მის ჯანმრთელობას მიყურადებული... 2000 წელს გარდაიცვალა და ახლა უკვე იქიდან მაძლევს დავალებებს, – რას უნდა მივხედო, როგორ მივხედო... მის სახელს დღესაც სანთელს ვუნთებ... კეთილი ადამიანების დახმარებით გამოვეცი მისი წიგნი, მოვაწესრიგე სასაფლაო – უბრალოდ და ლამაზად, როგორც მას უყვარდა... იმ სახლის ფასადზე, სადაც იგი კარგა ხანს ცხოვრობდა, გაიხსნა მემორიალური დაფა...**

* * *

დიახ, სიყვარული არ განელებულა ბატონი კიტას გარდაცვალების შემდეგაც, პირიქით, ქალბატონი თინა მიხვდა, რომ სწორედ ახლა მოუწევდა მის სიყვარულს გამოცდა, რადგან მისახედი და მოსაწესრიგებელი იყო კიტა ბუაჩიძის მდიდარი მემკვიდრეობა – ბრწყინვალე დრამატურგია თუ პუბლიცისტიკა, რომელთაც კომუნისტური ცენზურის პირობებში მზის სინათლე ვერ ენახათ. დიდი ავტორიტეტის, დაუდგრომელი ბუნების, კეთილი ადამიანების წყალობით თინა ბარამიძემ 2003 წელს გამოსცა ბატონი კიტას სქელტანიანი ნაშრომი-„ბომბა“ – „ხალხის მტრის“ ჩანაწერები ნახევარი საუკუნის მანძილზე“ და ნელ-ნელა შეუდგა საყვარელი, დაუვიწყარი პიროვნების რჩეული თხზულებების გამოცემისთვის სამზადისს – შეაწუხა „სულიერების, კულტურისა და მეცნიერების აღორძინებისა და განვითარების სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდისა და გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ მესვეურები.

უკან ვინ დაიხევდა, მადლობა ღმერთს, კიტა ბუაჩიძის ფასი ჯერჯერობით კარგად იციან (და, იმედია, ეცოდინებათ) საქართველოში. რაც მთავარია, „საბუთი“ ჰქონდა ქალბატონ თინას უმტკიცესი – კიტა ბუაჩიძის დაბადების 95 წლისთავი. ჰოდა, საქმე თანდათან დაიძრა. ქალბატონ თინას თხზულებათა შემდგენელს გვერდით დაუდგნენ ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის სამაგალითო და, რაც მთავარია, ბატონი კიტას საყვარელი ადამიანები – გამომცემლობის რედაქტორები ვაჟა ოთარაშვილი და ზურაბ თორია, წიგნის რედაქტორები – თამაზ კვაჭანტირაძე და ნოდარ ტაბიძე, მხატვარი გოგი წერეთელი... და „დაიბადა“, თუმცა ძნელად „დაიბადა“ „რჩეულ თხზულებათა კრებული“, რომელშიც შესულია ჩვენი გამოჩენილი ადამიანების საგულისხმო წერილები თუ მოგონებები, შესულია უნიკალური ფოტომასალა... და ჩვენს წინ წამოიმართა დიდი მეოცე საუკუნელი – – ეროვნული სულით დამუხტული, მრავალჭირგამოვლილი, უკომპრომისო მწერალი, რაც მთავარია, კრებულში შესულია დღეს უკვე საკმაოდ ცნობილი „ბომბა“ მასალები: რუსულ ენაზე – წიგნიდან – „შავი წიგნი“, წერილები და ორი დაუდგმელი პიესა.

დაიღალა, დაიქანცა ქალბატონი თინათინი გამომცემლობაში, ავტორებთან მისვლა-მოსვლაში, მასალების კითხვა-სწორებაში... უზომოდ დაიქანცა, მაგრამ დღეს იგი მაინც კმაყოფილია, რადგან ყველაფერში დიდი სიყვარული ერია, დიდ სიყვარულს კი წინ რა დაუდგება!

გუშინ კიტა ბუაჩიძეს დაბადების 96 წლისთავი იყო. ეჭვი არ მეპარება, ბინაში სანთელს დაუნთებდა მის სურათს ქალბატონი თინათინი, მერე კი დიდუბის პანთეონსაც ეწვეოდა და ყვავილებს დაუწყობდა ძვირფას საფლავს...

მართლაც, „სიყვარულო ძალსა შენსა“.

**ვილენ მარდალეიშვილი.**

## შვილიშვილის სარჩელი

### იური მუხინი

# ასამართლებენ სტალინს

პატივცემულო სასამართლოვ! სწორედ ამიტომ რუსეთში პოლონეთის „მეხუთე კოლონა“, რომლის წარმომადგენლებსაც თქვენ უმზერთ მოპასუხეების ადგილზე, ცხვირით მიწას ჩიჩქნის, რომ პატრონებს მოუპოვოს კატინის საქმის დარჩენილი ნაწილი და მისცეს ბოლოს და ბოლოს პოლონეთს საშუალება გაძარცვოს რუსეთი. საკითხი შეეხება მილიარდობით დოლარს, და სწორედ ამიტომ მოპასუხეები ლოგიკის საპირისპიროდ გთხოვდნენ კატინის საქმეს სრული მოცულობით. სწორედ ამიტომ მათ არ დაიშურეს ფული, რომ დაექირავებინათ ადვოკატები ჰენრი რეზნიკი და ალექსეი ზენეცკი. მოპასუხეებს სჭირდებოდათ, გადაეცათ პოლონეთისთვის ამ საქმის ამოღებული ნაწილი და ისინი აპირებდნენ ამის გაკეთებას ბასმანის სასამართლოს დახმარებით...

იაბლოკოვი, როგინსკი, პეტროვი – ესენი რუსეთში პოლონეთის „მეხუთე კოლონის“ მართლაც გამორჩეული წევრები არიან, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს იმისთვის, რომ გამოიწვიონ პოლონელი ხალხის ზიზღი რუსეთისადმი, რომ დაეხმარონ პოლონეთის მმართველ რეჟიმს გაძარცვოს რუსეთი. მათი ეს სამსახური აღინიშნა იმით, რომ 2005 წლის 16 აპრილს პოლონეთის პრეზიდენტმა კვასნევსკიმ დააჯილდოვა ისინი ორდენის ჯვრებით „პოლონეთის რესპუბლიკის წინაშე დამსახურებისთვის“. დააჯილდოვა იმისთვის, რომ უკვე მეორე ათწლეულია რუსეთის გამყიდველი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ცრუობენ იმის შესახებ, რომ სტალინმა სსრ კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის პაქტის საიდუმლო ოქმში ჩაწერა სსრ კავშირის ვალდებულება – *„მონაწილეობა მიიღოს პოლონეთზე თავდასხმაში გერმანიის მხარეს“.*

რუსეთის ეს მარგინალები გაჰკივიან, რომ სტალინმა დახოცა „ასეულობით მილიონი“ მოქალაქე, გაჰკივიან ორმოცდაათ წელზე მეტია, თითქოსდა ეს უკვე ყველამ უნდა იცოდეს... და ჩვენ სარჩელში ვამბობთ – არ არის საჭირო, რომ მოპასუხეებმა ხელი მოკიდონ დაუძლეველ შრომას და დაიწყონ იმის მტკიცება, რომ სტალინმა მოკლა ყველა ასი მილიონი, არ არის საჭირო თავის მტვრევა! დაადასტურეთ, რომ მან მოკლა 22 ათასი პოლონელი. მეტი არაფერი! და რა ხდება? მოპასუხეებმა უცბათ გაიგეს, რომ არ შეუძლიათ დოკუმენტურად დაადასტურონ 22 ათასი პოლონელის მკვლელობა და თხოვენ სასამართლოს მისცეს მათ ნება დაადასტურონ სტალინის მიერ ასი მილიონის მკვლელობა, თუმცა არა დადასტურებებით არქივიდან, არამედ მხოლოდ მათ მიერ დამზადებული დადასტურებებით.

ჩვენ მთელი პროცესის განმავლობაში მოვითხოვდით მათგან, რომ დაედოთ მოსამართლის მაგიდაზე ყბადაღებული პოლიტბიუროს ოქმი. მათ კატეგორიული უარი განაცხადეს და ა.შ.

გერმანელები მალავდნენ პოლონელთა დახვრეტას და ახდენდნენ კატინის საქმის ფალსიფიკაციას, მაგრამ რომელ დანაშაულს მალავენ მთავარი სამხედრო პროკურატურა და სსრ კავშირისა და რუსეთის პრეზიდენტები? ეს დანაშაული ორია: კატინის საქმის ფალსიფიკაცია, როგორც ამას გერმანელები აკეთებდნენ და რუსეთის უსაფრთხოების ნგრევა იმით, რომ ამ ფალსიფიკაციით პრეზიდენტებმა შეძლეს გამოეწვიათ პოლონეთის ხალხის ზიზღი სსრ კავშირისადმი...

(რედაქციისაგან: შემდეგ წიგნში ქვეყნდება სასამართლოზე ადვოკატების რეზნიკისა და ზენეცკის სიტყვები კამათში. ისინი იმეორებენ ყველა იმ დეტალსა და მომენტს, რის შესახებაც უკვე იყო საუბარი. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ამონარიდს რეზნიკის სიტყვიდან, რაც მოპასუხეთა პოზიციის არსსა და იდეოლოგიას წარმოაჩენს კიდევ ერთხელ).

მოსარჩლეთა წარმომადგენლები სტალინს მიიჩნევენ ყველა დროისა და ყველა ხალხის გენიად, რომელსაც ქვეყანა მიჰყავდა გამარჯვებიდან გამარჯვებამდე, რომელმაც, გაურკვეველია, როგორ შეძლო ეს ქვეყანა როგორღაც შეეყვანა ისეთ კალაპოტში, რომ იგი არ დაღუპულიყო. მე ვეთანხმები მოსარჩლეთა წარმომადგენლებს, მეც მიმაჩნია სტალინი გენიად, სიბოროტის აბსოლუტურ გენიად. ისტორიაში აღწერილ ბოროტმოქმედთა შორის სტალინს უკავია განსაკუთრებული ადგილი ნერონისგან განსხვავებით, კალიგულასაგან განსხვავებით. კალიგულამ სახელი გაითქვა იმით, რომ სენატში შეიყვანა ცხენი და, შესაბამისად, მიიჩნია, რომ ის იქნება სენატორი. მე კი, ჩემი აზრით, საკმარისად დავასაბუთე, რომ როგორი პოსტიც უნდა სჭეროდა სტალინს და როგორი აქტებიც უნდა გამოეტანათ, თავის სიცოცხლეში მთელი ხელისუფლება ქვეყანაში ეკუთვნოდა ამ კაცს. რა არის სტალინის გენიალობა? ეს არის ის, რომ მან გენიალურად ააგო სისტემა, ბოროტების სისტემა, მან ააგო საზოგადოება, რომელიც დაფუძნებული იყო ძალადობასა და სიცრუეზე. სტალინის მტერი იყო თავისუფლება, სტალინმა ის ისე მოკლა, როგორც არც ერთ დიქტატორს არ მოუკლავს, არც ერთ ტირანს, მან მოკლა იგი ყველგან, მან მოკლა იგი ტოტალურად. ამ თვალსაზრისით არც ჰიტლერი, არც მუსოლინი არ არიან ტოტალური დიქტატორები. მით უმეტეს ფრანკო, ეს საერთოდ ოპერეტა იყო ესპანეთში, ის ვერ შეედრებოდა მას, ვინაიდან სტალინმა გაანადგურა თავისუფლება ყველგან. თავისუფლება განადგურდა ეკონომიკაში, სახელმწიფო გახდა ერთადერთი მესაკუთრე, არსად და არასოდეს ფარაონების ეგვიპტიდან, არ განადგურებულა ასე კერძო საკუთრება. მან გაანადგურა თავისუფლება პოლიტიკაში, შექმნა სიტუაცია, რომლის დროსაც აბსოლუტურად რაიმე გამონათქვამი რომელიღაც სხვა პარტიებიდან, რომელიღაც სხვა ჯგუფებიდან შეუძლებელი იყო, მორჩა და გათავდა! დარჩა მხოლოდ ერთი პარტია, არსებითად, და მან შეწყვიტა მასში ყოველგვარი დისკუსია“...

ადრე მოსამართლეებს უჭირდათ – განაჩენებსა და გადაწყვეტილებებს ისინი წერდნენ პირადად და ხელით, მაშასადამე, მოსამართლეებს უწევდათ ფიქრიც იმაზე, თუ რის შესახებ და რას წერდა, ზედმეტის დაწერა ხელს არ აძლევდა. ახლა კი ეს ყველაფერი აღარაა საჭირო, ვინაიდან გარკვეულ ღილაკზე ხელის დაჭერით ადვილად შეიძლება შექმნა ნებისმიერი მოცულობის დოკუმენტი, ჩასვა მასში უწინწკლებო ციტატები ნებისმიერი კანონიდან და ამით აღნიშნო მოსამართლის შრომითი ენთუზიაზმი და მისი უზარმაზარი გონებრივი მუშაობა.

მაშ ასე გადაწყვეტილება:

„2009 წლის 13 ოქტომბერს ქალაქ მოსკოვის ბასმანის რაიონულმა სასამართლომ... დაადგინა: ევგენი იაკობის ძე ჯუღაშვილმა მიმართა სასამართლოს ავტონომიური არაკომერციული ორგანიზაციის – „სარედაქციო-საგამომცემლო სახლის „ნოვაია გაზეტას“ (შემდგომში – აო – სს „ნოვაია გაზეტა“), ანატოლი იაბლოკოვის წინააღმდეგ სარჩელით, რომელშიც, გაცხადებული სასარჩელო მოთხოვნების დაზუსტებით, ითხოვდა მიჩნეული იქნეს გამოგონილად, სინამდვილის შეუსაბამოდ და ი. ბ. სტალინის პატივისა და ღირსების შეურაცხყოფად ა. იაბლოკოვის სტატიაში – „დამნაშავედ დაინიშნა ბერია“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ნოვაია გაზეტას“ დანართში (სპეცგამოშვება „გულაგის სიმართლე“, № 03, 2009 წლის 22 აპრილს – შემდეგი ცნობები:

### „სტალინი და ჩეკისტები დიდ სისხლში არიან გასვრილი“...

„... სტალინმა და სკპ (ბ) პოლიტბიურომ, რომლებმაც გამოიტანეს შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილება პოლონელთა დახვრეტის შესახებ, თავიდან აიცილეს მორალური პასუხისმგებლობა უმძიმესი დანაშაულისთვის...“



### „.... სისხლის-მსმელი კაციჭამია“...

„მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის საიდუმლო ოქმით გათვალისწინებული იყო, რომ სსრ კავშირს, პოლონეთთან თავდაუსხმელობის შესახებ მოქმედი ხელშეკრულების მიუხედავად, მონაწილეობა უნდა მიეღო პოლონეთზე თავდასხმაში გერმანელების მხარეზე. მას შემდეგ, რაც 1939 წლის 1 სექტემბერს გერმანიამ დაიწყო ომი პოლონეთთან, სსრ კავშირი, გერმანიის წინაშე ნაკისრი თავისი ვალდებულებების შესრულების თანახმად, შეიჭრა პოლონეთში...“

„გამოძიების დროს დადგინდა, რომ სინამდვილეში 14700 პოლონელი სამხედრო ტყვე შინსახკომის სამი ბანაკიდან და 7305 პოლონეთის მოქალაქე, რომლებიც იმყოფებოდნენ დასავლეთი უკრაინისა და დასავლეთი ბელარუსის ციხეებში, სკპ (ბ) პოლიტბიუროს 1940 წლის აპრილ-მაისის დადგენილებით დახვრიტეს სსრ კავშირის შინსახკომის თანამშრომლებმა და ისინი დაიმარხნენ შინსახკომის სამმართველოს აგარაკების ტერიტორიაზე და სხვა ადგილებში“.

„მიუხედავად სსრ კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის შელეპინის, შინსახკომის სამხედრო ტყვეთა საქმეების სამმართველოს ყოფილი უფროსის სოპრუნენკოს, კალინინის ოლქის შინსახკომის სამმართველოს უფროსის ტოკარევისა და სხვათა ჩვენებებით ამ დოკუმენტების სისწორის დადასტურებისა, ეს დოკუმენტები დამატებით გულდასმით იქნა შესწავლილი“.

„პირველად დოკუმენტურად დადასტურდა, რომ კატინის დანაშაულის დაახლოებით 22 ათასი მსხვერპლი სიკვდილით დასაჯეს სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით – პოლიტიკური და ეროვნული მოტივებით, როგორც საბჭოთა ხელისუფლების გამოუსწორებელი მტრები... ეროვნებით 97 პროცენტზე მეტი პოლონელი“...

„... ამ მასობრივი მკვლელობის ვითარებანი დასტურდება არა მხოლოდ ამ დოკუმენტებით, არამედ მოწმეთა ჩვენებებითა და დაკრძალვის ადგილებში ექსგუმაციის მასალებითაც“.

სარჩელით ასევე წარმოდგენილია მოთხოვნები: დაევალოს „ნოვაია გაზეტას“, დანართის უახლოეს ნომერში გამოაქვეყნოს უარყოფა, მოახდინოს მორალური ზარალის კომპენსაცია 10 000 000 რუბლის ოდენობით, მათ შორის აო-სს „ნოვაია გაზეტამ“ – 9 500 000 რუბლის და ა.იაკოვლევმა – 50 000 რუბლის ოდენობით.

მოსარჩლე ე. ჯუღაშვილის წარმომადგენლები – ლ. ნ. ჟურა, ე.ლ. ჟურა, ს.ე. სტრიგინი, ი.ი. მუხინი გამოცხადდნენ სასამართლოს სხდომაზე. მათ დაზუსტებულ სასარჩელე მოთხოვნებს მხარი დაუჭირეს მთლიანად, განმარტეს, რომ გავრცელებული ცნობები არ შეესაბამებიან სინამდვილეს, ეწინააღმდეგებიან მოვლენათა ფაქტობრივ განვითარებას, წარმოადგენენ ავტორის მონაგონს, შეურაცხყოფას აყენებენ ი.ბ. სტალინის, როგორც სსრ კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ღირსებას.

მოპასუხე აო-სს „ნოვაია გაზეტას“ და მესამე პირის – საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციის „საერთაშორისო ისტორიულ-საგანმანათლებლო, საქველმოქმედო და სამართალდამცავი საზოგადოება „მემორიალის“ – წარმომადგენელი ადვოკატი ჰ.მ. რეზნიკი, აო-სს „ნოვაია გაზეტას“ მოპასუხის წარმომადგენლები ი.ს. კოჟეუროვი, ო.ნ. ხლებნიკოვი, მოპასუხე ა.ი. იაბლოკოვი და მისი წარმომადგენელი ადვოკატი ა.ე. ზენეცკი, მესამე პირის – „მემორიალის“ მოპასუხეები ა.ე. გურიანოვი, ი.ზ. რაჩინსკი, ნ.ვ. პეტროვი გამოცხადდნენ სასამართლოს სხდომაზე. მათ სასარჩელე მოთხოვნები არ აღიარეს, მიუთითებდნენ, რომ აზრის გამოთქმის თავისუფლება შეადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ საფუძველს და მისი პროგრესის ერთ-ერთ მთავარ პირობას, რომელიც ვრცელდება არა მხოლოდ ინფორმაციაზე, არამედ შეურაცხმყოფელ, შოკის მომგვრელ გამონათქვამებზეც. სტატიის სადავო ფრაგმენტები არის ავტორის აზრის გამოხატულება, რომელსაც საფუძვლად უდევს საზოგადოდ აღიარებული ვითარებანი...

„რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო პროცესუალური კოდექსის 194-199 მუხლების საფუძველზე სასამართლომ გადაწყვიტა: ევგენი ჯუღაშვილს სასარჩელე მოთხოვნებზე... ეთქვას უარი.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მოსკოვის საქალაქო სასამართლოში 10 დღის ვადაში. მოსამართლე ა.ს. ლოპატკინა“...

### გადაწყვეტილების გასაჩივრება

სტალინის შვილიშვილის, არსებითად კი – თავად სტალინის წარმომადგენელთა მდგომარეობა გვავალდებულებს, ვიბრძოლოთ უკანასკნელ ვაზნამდე.

და ჩვენც, მოსარჩლის წარმომადგენლებმა, რასაკვირველია, მოსკოვის საქალაქო სასამართლოში შევიტანეთ საკასაციო საჩივარი. მაგრამ ეს რა „სასამართლოცაა“ – გასაგებია, მაგრამ გვერწმუნეთ, არ არის ცუდი მიიღო ფირმიდან, რომლის სახელიცაა „მოსკოვის საქალაქო სასამართლო“, დადასტურება, რომ მოლაყბეთა მტკიცება, თითქოს სტალინი შეუთანხმდა ჰიტლერს ერთობლივად დაესხან თავს პოლონეთს და რომ პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება დაეხვრიტათ პოლონელი ტყვეები, სინამდვილეში არ არის ფაქტები, არამედ არის მხოლოდ აზრი, თანაც წინასწარ იმდენად უპასუხისმგებლო, რომ სასამართლოს მათი განილვა არ სურს. მართლაც, ამას ხომ ამტკიცებს არა სერიოზული ხალხი, არამედ სულ ვიღაც გორბაჩოვები – ელცინები – პუტინები, და მეტი არაფერი. რა უნდა მოსთხოვო ბოთეებს? ასეთ ფაქტებზე რას უნდა ელოდო მათგან?

**(გაგრძელება იქნება)**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 155-168,176.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „ერ-ტეს“ ყოფილი კორესპონდენტი: მაიძულეს წავსულიყავი, ვინაიდან მე საქართველოზე სიმართლეს ვლაპარაკობდი

**მთლიანად „ერ-ტე“ იძლეოდა დაბალანსებულ ინფორმაციას საქართველოში სიტუაციის შესახებ. მაგრამ ჩემი ცნობები ქართველ დევნილთა წამების შესახებ მაინც ვერ მოხვდა ეთერში**

2008 წელს ომის მეორე დღეს პირდაპირ ეთერში განვაცხადე, რომ, ზოგიერთი მონაცემებით, რუსეთის თვითმფრინავები ბომბავდნენ სამოქალაქო ობიექტებს გორში. ვთქვი, რომ ყოველდღე უნდა გავიდე ეთერში ახალი ცნობებით, მაგრამ ჩემი გამოსვლები გააუქმეს. იმავე საღამოს „ერ-ტემ“ მოისურვა აელო ჩემგან კიდევ ერთი სატელეფონო ინტერვიუ, ამჯერად მე უნდა უარმეყო არასწორი ცნობები თბილისზე თავდასხმის შესახებ, მაგრამ არ უნდა მეხსენებინა რეალური დაბომბვები ქვეყნის სხვა რაიონებში. მე უარი ვთქვი ამაზე და შევიტანე განცხადება გათავისუფლების შესახებ. „ერტეში“ არის შესანიშნავი სიუჟეტები და ნიჭიერი ჟურნალისტები, მაგრამ არხი კრემლის პოზიციას უჭერს მხარს.

**უილიამ დანბარი**

THE INDEPENDENT



# ინგუშეთის პრეზიდენტმა სამხრეთ ოსეთი აღიარა

**20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთმა საზეიმოდ აღნიშნა თავისი დამოუკიდებლობის გამოცხადების 20 წლისთავი. ცხინვალის ცენტრში გაიმართა მასშტაბური აღლუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რუსეთის 100-ზე მეტმა ჯარისკაცმა და ჯავშანტექნიკამ. იმავე დღეს პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა მოაწყო შეხვედრა ინგუშეთის ხელმძღვანელთან იუნუს-ბეკ ევკუროვთან**

ორი ხალხის ერთი მეორესთან მეგობრობის დარწმუნებას ხელი ვერ შეუშალა სკანდალმაც კი, რომელიც გამოიწვია კოკოითის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის კონსტანტინ ფუხაევის გამონათქვამმა იმის შესახებ, რომ პასუხისმგებლობა ვლადიკავკაზის ბაზარზე მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებით ეკისრებათ ინგუშებს.

ბატონმა კოკოითმა შეხვედრები გამართა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების სხვა ლიდერებთან, მათ შორის ინგუშეთის პრეზიდენტთან იუნუს-ბეკევუროვთან.

ინგუშეთის ოფიციალურმა ხელისუფლებამ საჭიროდ არ ჩათვალა ფუხაევის განცხადების კომენტირება. უფრო მეტიც, ცხინვალში შეხვედრის დროს ბატონმა ევკუროვმა სამხრეთ ოსეთის ჩამოყალიბებას „ისტორიული მოვლენა“ უწოდა და განაცხადა, რომ ერთი მეორის წინააღმდეგ სიარული იყო ყველაზე დიდი შეცდომა კავკასიელი ხალხისა. საპასუხო სიტყვაში ბატონმა კოკოითმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ინგუშეთის ლიდერი ჩავიდა იუბილეზე, „მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ძალები ცდილობენ ააფეთქონ ვითარება კავკასიაში და ერთმანეთს წაჰკიდონ ჩვენი ხალხები“.

**ზაურ ფარნიევი, მუსა მარაღოვი**

Коммерсантъ

# საქართველომ სომხეთს ერთ მნიშვნელოვან პუნქტზე შეახსენა

**რუსეთი უნებლიეთ გახდა ქართველ და სომეხ პოლიტიკოსთა შორის ურთიერთწყენის საბაბი. ამ დღეებში სომეხმა დეპუტატებმა დაგმეს საქართველოს მიერ „ზემო ლარსის“ საკონტროლო-გამტარი პუნქტის დახურვა სომხეთის ტრანსპორტისთვის, რომელსაც რუსეთში გადააქვს ყურძენი და სხვა საქონელი, მაგალითად, მინერალური წყალი „ჯერმუკი“**

სომხეთის პარლამენტში ფრაქცია „მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელმა სტეფან საფარიანმა თქვა, რომ ეს აიძულებს მას, ეჭვი შეიტანოს ორი ქვეყნის კეთილმეზობლურ დამოკიდებულებაში. სომხეთის საინფორმაციო სააგენტოს მოჰყავს კიდევ ერთი სომეხი პარლამენტარის ოჰანეს მარკარიანის აზრი. ის გამორიცხავს, რომ საქართველოს გადაწყვეტილება გამოწვეულია იმით, რომ სომხეთმა მის წინააღმდეგ მისცა ხმა გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე სექტემბრის პირველი დეკადის ბოლოს.

მაშინ ლებულობდნენ რეზოლუციას ქართველ ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნების შესაძლებლობის შესახებ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ საქართველომ არ გააკეთა „ზუსტი განმარტებანი“ საკონტროლო-გამტარი პუნქტის დახურვის მიზეზების შესახებ. მაგრამ ამ დღეებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა შოთა უტიაშვილმა განაცხადა, რომ პუნქტი საზღვრებს შორის არ დაკეტილა. ტრანსპორტი ამ პუნქტზე მოძრაობს ჩვეულებრივ რეჟიმში, უბრალოდ, სომხეთის ზოგიერთი სატვირთო მანქანის მძღოლს ჰქონდა პრობლემები დოკუმენტებთან დაკავშირებით და „აქედან პოლიტიკა არ უნდა შევქმნათ“.

შეგახსენებთ, რომ სომხეთი არ შესულა იმ 50 ქვეყნის რიცხვი, რომლებმაც მხარი დაუჭირეს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს რეზოლუციას. ამის შემდეგ ქართველმა ოპოზიციურმა დეპუტატმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ სომხეთის პოზიციას „მეტად მძიმე და დამაფიქრებელი“ უწოდა. პარლამენტარმა განაცხადა, რომ სომხებს ბოლოს და ბოლოს შეეძლოთ შეერთებოდნენ იმ 86 ქვეყანას, რომლებმაც კენჭისყრაზე თავი შეიკავეს, მაგრამ მან არჩია აღმოჩენილიყო რუსეთთან ერთად იმ 17 ქვეყანას შორის, რომლებმაც რეზოლუციის წინააღმდეგ მისცეს ხმა. საქართველოს პარლამენტის სპიკერის პირველი მოადგილე მიხეილ მაჭავარიანი, მიუხედავად ამისა, ამტკიცებს, რომ თბილისი და ერევანი ინარჩუნებენ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს. ანალოგიური აზრი გამოხატა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომაც. მაგრამ გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია უკანასკნელ პერიოდში არ არის ერთადერთი მომენტი, რომელიც თბილისსა და ერევანს უჩენს საკითხებს ერთი მეორის მიმართ.

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

**მიხეილ ვიგნანსკი**

სრულიად რუსეთის პატრიარქი



# ე.წ. სამხრეთ ოსეთს „დამოუკიდებლობის დღის გამოცხადების მე-20 წლისთავი“ მიულოცა

**სრულიად რუსეთის და მოსკოვის პატრიარქმა კირილმა ე.წ. „სამხრეთ ოსეთს“ დამოუკიდელობის დღის გამოცხადების მე-20 წლისთავი მიულოცა.**

პატრიარქის მიმართვა ოს ხალხს რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელმა მამა სერგიმ გადასცა.

„პატივცემულო ძმებო და დებო! ამ წლების განმავლობაში ქვეყნის ხელისუფლებას სახელმწიფო აღმშენებლობისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რთული გზის გავლა მოუწია. განსაკუთრებულ გამოცდად იქცა 2008 წლის აგვისტოს მოვლენები, რომლის შედეგად მრავალი ადამიანი დაიღუპა და დაზარალდა. დღეს მყარდება მშვიდობიანი ცხოვრება და სხვა სახელმწიფოებთან კონსტრუქციული ურთიერთობები. განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსულ-ოსური ურთიერთობების მნიშვნელობა, რომელიც რეგიონში სტაბილურობის გამყარებისკენ და ჩვენი ქვეყნების ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის გამყარებისკენაა მიმართული. გისურვებთ სიძლიერეს, ღმერთის დახმარებას და წარმატებებს, მშვიდობას, აყვავებას და კეთილდღეობას. პატივისცემით, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი“ – ნათქვამია მიმართვაში.

შეგახსენებთ, რომ ოფიციალურად, რუსეთის ეკლესია აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს.

მიუხედავად ამისა, რუსეთის საპატრიარქომ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებს „დამოუკიდებლობა“ შარშანაც მიულოცა.

ХИ-ЭЙЧ-ЭНИ


# განცხადება

**შპს „ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა“ ლაბორატორიული აღჭურვილობისა და ჟანგბადის ბალონების რეალიზაციის მიზნით აცხადებს აუქციონს. აუქციონი გაიმართება ორ ლოტად:**

I ლოტი: ლაბორატორიული აღჭურვილობა.

ლაბორატორიული აღჭურვილობის საერთო ღირებულება შეადგენს 8292 (რვაათას ორას ოთხმოცდათორმეტიძ ლარს. ბიჯი 5 ლარი.

(ლაბორატორიული აღჭურვილობის ჩამონათვალი თან ერთვისძ

II ლოტი: ჟანგბადის ბალონები.

ჟანგბადის ბალონების საერთო ღირებულება შეადგენს 2250 (ორიათას ორასორმოცდაათიძ ლარს. ბიჯი 3 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველებმა უნდა წარმოადგინონ „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც განისაზღვრება მთლიანი ქონების საწყისი ფასის 10 პროცენტით. თანხა შეტანილი უნდა იქნეს შპს „ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის“ ანგარიშზე სს „კორ – სტანდარტ ბანკი“ ბათუმის ფილიალი, ბანკის კოდი: 220101945, ანგარიშის ნომერი: 4133548.

აუქციონი გაიმართება შპს „ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის“ ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართი: ქ. ბათუმი, თამარის დასახლება, 2010 წლის 22 ოქტომბერს, 12 საათზე. განცხადებები მიიღება 2010 წლის 23 სექტემბრიდან 21 ოქტომბრის 17 საათამდე.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 5-55-10; 5-55-30.

შპს „ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის“ დირექცია.

გენერალური დირექტორი **ნიკო თავდგირიძე.**

**შპს „ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ცალკეული დასახელების ლაბორატორიული აღჭურვილობის ღირებულების შესახებ (ცვეთის გარეშე)**

| № | დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთ. ღირებულება | სულ ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაბორატორიული სასწორი | ც | 1 | 95 | 95 |
| 2 | ოქტანური რიცხვის განმსაზღვრელი დანადგარი უიტ-850 | ც | 1 | 650 | 650 |
| 3 | ოქტანური რიცხვის განმსაზღვრელი დანადგარი უიტ-850 | ც | 1 | 640 | 640 |
| 4 | ნავთობპროდუქტების გადადენის აპარატი „არნს-1“ | ც | 3 | 80 | 240 |
| 5 | ნავთობპროდუქტების გადადენის აპარატი „არნს-1“ | ც | 4 | 105 | 420 |
| 6 | ნ/პ აალების გამზომი აპარატი „არნს“ | ც | 2 | 175 | 350 |
| 7 | აალების ტემპერატურის განმსაზღვრელი ხელსაწყო „ტვ-2“ | ც | 3 | 100 | 300 |
| 8 | ანალიტიკური სასწორი „ვპრ-200“ | ც | 1 | 155 | 155 |
| 9 | ანალიტიკური სასწორი | ც | 1 | 230 | 230 |
| 10 | ლაბორატორიური სასწორი ვლვ-500 | ც | 1 | 130 | 130 |
| 11 | ხელსაწყო პის-01 | ც | 1 | 160 | 160 |
| 12 | აალების ტემპერატურის აპარატი „ტვ-2“ | ც | 1 | 175 | 175 |
| 13 | ავტოტრანსფორმატორი ლატრ-24 | ც | 5 | 181 | 905 |
| 14 | ნაჯერი ორთქლის წნევის განმსაზღვრელი ხელსაწყო „ლდპ-2“ | ც | 1 | 415 | 415 |
| 15 | ღუმელის მუფელი „სნოლ“ | ც | 1 | 150 | 150 |
| 16 | იონომეტრი | ც | 1 | 25 | 25 |
| 17 | დიზელის საწვავის გასაფილტრ. ზღვის ტემპერატ. საზომი „ლაუდა“ | ც | 1 | 45 | 45 |
| 18 | პრისტალიზ. ტემპერატ. ასაზომი ხელსაწყო „ლტზ“ | ც | 1 | 34 | 34 |
| 19 | ვისკოზიმეტრი „ვუ“ | ც | 1 | 38 | 38 |
| 20 | ლაბორატორ. ღუმელი | ც | 1 | 180 | 180 |
| 21 | აპარატი უგ-2 | ც | 1 | 1100 | 1100 |
| 22 | ვენტილიატ. ელ. ძრავით | ც | 1 | 350 | 350 |
| 23 | ვენტილიატ. ელ. ძრავით | ც | 1 | 305 | 305 |
| 24 | ორგანული ქიმიის ლაბორატ. | ც | 1 | 1200 | 1200 |
| | სულ | | | | 8292 |

## ჩვენი ბიბლიოთეკა

ყმაწვილქალი ელოდა, რომ თავისი პასუხით დააჯერებდა მოგვს. მაგრამ იმწუთიდან, რაწუთიდანაც მოიძია ის ტყეში, დაინახა, რომ მთლად აგრე არ იყო საქმე. მოლოდინი თანდათან უქარწყლდებოდა, უქრებოდა. ტყე-ტყე მიმავალი გზა, აზმაითი, ანუ თოვლისგან თვალის ვნება, გულითადი და წრფელი საუბარი კმაროდა, რომ გრძნობებს ლაგამი წაეყარათ და გაშვებულიყვნენ. ბრიდა კვლავ და კვლავ უჩიჩინებდა თავის თავს, აქ ოდენ იმ მიზნის საძებნელად მოვედი, რომელსაც მაინც უნდა მივაღწიო, რადაც არ უნდა დამიჯდესო. რამეთუ ღმერთი, სანამ მამაკაცი გახდებოდა, ჯერეთ დედაკაცი იყოო.

მოგვი ქვის ნატეხიდან წამოდგა და ერთადერთ გადარჩენილ კედელთან მივიდა, კართან გაჩერდა, ამყოლს მიებჯინა, ზურგში ჩამავალი მზის შუქი სცემდა, და ბრიდა ვერ ხედავდა იმის სახეს.

– არის, ერთი რაღაც, რაც უიკას არ უსწავლებია შენთვის, – თქვა მან. – ალბათ, მხედველობიდან გამორჩა. ან იქნებ უნდოდა, რომ აქამდე შენი ჭკუით მოსულიყავი.

– სწორედ მაგიტომ ვარ აქ. ამ ტყემდე დიახაც ჩემი ჭკუითა და ჩემი ფეხებით მოვედი.

და ეს რომ წარმოთქვა, თავის თავს დაეკითხა: ჩემი მოძღვრის ჩანაფიქრიც ის ხომ არ იყო, რომ ამ კაცს შევხვედროდიო?

– გასწავლი, – დიდი ხნის დუმილის შემდეგ თქვა ბოლოს მოგვმა. – წავიდეთ.

Ისინი იმ ადგილამდე მივიდნენ, სადაც განსაკუთრებულად სქელი და მაღალი ხეები წვერთ ცას აწვდენდნენ. ბრიდამ ალაგ-ალაგ, ტოტების ასწვრივ, თოკის კიბეებს მოჰკრა თვალი, სულ ზევით და ზევით ამავალს, ხოლო ხშირ ხმელ ფოთლებში რამდენიმე პატარა ქოხი იყო მიმალული.

„ეტყობა, მანდ განდეგილნი ცხოვრობენ, მზის ტრადიციის აღმსარებელნი“, – გაიფიქრა ბრიდამ.

მოგვმა გულდაგულ დაათვალიერა ყველა ეს ქოხი, ერთი შეარჩია და ბრიდას სთხოვა, ამოდიო.

ბრიდაც, რის ვაივაგლახით, აბღოტდა შუამდე და უცებ გული გადაუბრუნდა: თუ ჩამოვარდებოდა, ძირამდე სული არ დაჰყვებოდა. მაგრამ მაინც აჯობა თავის თავს და ბობღვა განაგრძო: ასე თუ ისე, იქაურობა წმინდა ადგილი იყო და ტყის სულნი მფარველობდნენ. მართალია, მოგვს არცრა ნებართვა არ უთხოვნია იმათთვის, მაგრამ იქნებ მზის ტრადიცია ამას არც ითვალისწინებდა.

როცა ისინი თითქმის კენწეროზე მოექცნენ, ბრიდამ ღრმად ამოისუნთქა – კიდევ ერთი შიშის დაძლევა მოახერხა.

– ჩინებული ადგილია შენთვის გზის საჩვენებლად, – თქვა მოგვმა. – ამ ადგილს სადარნოდ, საბუსუნოდ იყენებენ.

– სადარნოდ და საბუსუნოდ? – ბრიდამ კითხვად შეუბრუნა მოგვს ნათქვამი.

– ჰო, მერე რა. ეს ქოხები სულ მონადირეთა ნახელავია. უდარაჯებენ გარეულ ფრინველ-ნადირს. სიმაღლეზე კი იმიტომ დადგეს, რა არი ტყის ბინადართ ალღო ვერ აართვან ადამიანს. მონადირეთ მთელი წელიწადი აქ საჭმელი მოაქვთ, ნადირს უყრიან, იჩვევენ, მერე კი, ერთ მშვენიერ დღეს – ხოცავენ.

ბრიდამ ძირს რამდენიმე ნასროლ მასრას მოატანა თვალი.

– ქვევით ჩაიხედე, – თქვა მოგვმა.

ისინი ძლივს ეტეოდნენ ესდენ ვიწრო სივრცეში, და ძალაუნებურად ეხებოდნენ ერთმანეთს. ბრიდამ წამოიწია და დაბლა ჩაიხედა: ალბათ, ყველაზე უფრო მაღალ ხეზე იყვნენ ასულნი, რადგან იქიდან სხვა ხეთა კენწეროების დანახვაც შეიძლებოდა, დაბლობისაც და – სადღაც ცისპირზე – თოვლიანი მთების მწვერვალებისაც. მართლაც რომ მშვენიერი ადგილი იყო, ოღონდ სულ ტყუილუბრალოდ თქვა მოგვმა, ამ ადგილს სადარნოდ და საბუსუნოდ იყენებენო, ნეტავი ეს არცა სცოდნოდა.

მოგვმა ქოხს ბრეზენტის ჩარდახი გადახადა, და ბრიდას თვალი მოსჭრა ტოტებში შემოჭიატებულმა მზის შუქმა. ციოდა, და ისე ჩანდა, ისინი თითქოს სადღაც ჯადოსნურ ადგილას იყვნენ, სამყაროს ზედ წვერზე. ცოტაც და, გრძნობები კვლავ თავს აიწყვეტდნენ, მაგრამ ბრიდამ ლაგამი ამოსდო – საჭირო იყო სრული თავშეკავება.

– რისი გაგებაც შენ გინდოდა, იმის ასახსნელად სულაც აუცილებელი არ იყო შენი აქ მოყვანა, – თქვა მოგვმა. – თუმცა ვისურვებდი, რომ კიდევ უფრო ახლოისად გასცნობოდი ამ ტყეს. ზამთრობით, როცა მონადირენი არ არიან, მიყვარს აქ ამოსვლა და დედამიწის მზერა.

მოგვს ნამდვილად ენიაზებოდა თავისი სამყაროს ამ ყმაწვილქალისთვის გაყოფა-განწილვა. ბრიდას ერთბაშად სისხლი აუთქრიალდა ძარღვებში, და სახადელზე მოსული სულ ერთიანად მიენდო ერთ იმ წამთაგანს, რომელ წამთა ერთადერთი ალტერნატივაც თავშეკავების დაკარგვაა.

– ადამიანი რასაც არ უნდა აკეთებდეს, სოფელ-ქვეყანას თავისი ხუთი გრძნობით აღიქვამს. ხოლო გრძნება-მაგიის სამყაროში შთანთქმა იმას ნიშნავს, რომ ადრე უცნობი გრძნობები აღმოაჩინო, და სექსი იმ კარიბჭისკენ გვიბიძგებს, რომელსაც ზოგ-ზოგ ამ გრძნობასთან მივყავართ.

მოგვმა უცებ შეიცვალა ტონი და ისე ალაპარაკდა, როგორც მასწავლებელი ბიოლოგიის გაკვეთილზე. „ალბათ, აგრეა საჭირო“, – არცთუ მთლად დარწმუნებულმა გაიფიქრა ბრიდამ.

– მნიშვნელობა არა აქვს, სექსში სიბრძნეს ეძებ თუ ტკბობას: ეს ცდა მაინც ყოვლისმომცველი იქნება. იმიტომ რომ ეს ჩვენი საქმიანობის ერთადერთი ნაირსახეობაა, სადაც ერთდროულად მუშაობს – ან უნდა მუშაობდეს – ხუთივე გრძნობა. ჩართულია მოყვასთან კავშირის სუყოველი არხი. ორგაზმის წამს ხუთივე გრძნობა ქრება, ადამიანი კი გრძნება-მაგიის სამყაროში ექცევა: ვეღარ ხედავს, ვეღარც ეყურება, ვეღარც სუნს რასმე არჩევს და ვეღარც გემოს, შეხებით შეგრძნების შესაძლებლობასაც კარგავს. რამდენიმე ძალიან ხანგრძლივ წამს ყოველივე თავს ანებებს და ეს ყოველივე აღტყინებად იცვლება. ზუსტად ისეთივე აღტყინებად, რომელსაც მისტიკოსნი მყოვარ ჟამს მორჩილებითა და ყოველგვარ მიწიერზე დაუარებით აღწევენ.

ბრიდას შეკითხვა უნდოდა, აღტყინებას რატომ ორგაზმში




არ ვეძებთო, მაგრამ ანგელოზთა ჩამომავლობის ამბავი წამოაგონდა.

– ადამიანს ამ აღტყინებისკენ თავისივე ხუთი გრძნობა უბიძგებს. და რაც უფრო მეტად არის თითოეული ეს გრძნობა აგზნებული, მით უფრო ძლიერი და ღრმაა აღტყინებაც. გაიგე?

„რა თქმა უნდა. რა არის აქ გაუგებარი?“ – გაიფიქრა ბრიდამ და თავი დაიქნია. მაგრამ ამ გაფიქრებულმა კითხვამ თითქოს დაამანძილა მოგვს. არადა ისევ ამ კაცის გვერდით ყოფნა უნდოდა, როგორც მაშინ, როცა ტყე-ტყე მოდიოდნენ.

– სულ ეს არის.

– ეგ ყველაფერი ვიცი, მაგრამ მაინც არ შემიძლია... – ბრიდას ენა დაება, რადგან ლორენსის ხსენება არ უნდოდა – გული უგრძნობდა, რომ იმის ხსენებაში საშიშროება იმალებოდა. – შენ კი, ამ აღტყინების მიღწევის ხერხი არისო, მითხარი.

ბრიდა ნერვიულობდა, გრძნობდა, რომ სულიერ მღელვარებას ვეღარ იმორჩილებდა.

მოგვმა კვლავ მოავლო ტყეს თვალი. „იქნებ ესეც თავის გრძნობებსა ლაგმავს? – დაეკითხა ბრიდა თავის თავს. მაგრამ თან არც უნდოდა და ვერც დაეჯერებინა თავისი ნაფიქრი.

ვინაიდან იცოდა, რაც არის მზის ტრადიცია. იცოდა, რომ მოძღვარნი სივრცის წიაღ და დროის წიაღ ასწავლიან ამ ტრადიციას. ბრიდა ამაზე ადრევე ფიქრობდა, სანამ აქ, ტყეში მოვიდოდა. ბევრჯერ ისიც კი წარმოიდგინა, რომ თვითონ და მოგვი იქნებ მარტონიც დარჩენილიყვნენ, გვერდიგვერდ – აი როგორც ახლა, როცა გარშემო კაციშვილი არ ჩანდა. ნამდვილად ასეთები არიან მზის ტრადიციის მოძღვარნი – ყოველთვის მოქმედებით, საქმით, თავიანთი საქციელით ასწავლიან და არც თეორიის პირველობაზე ამბობენ უარს. ყმაწვილქალი ყოველივე ამაზე ჯერ კიდევ აქ წამოსვლამდე ფიქრობდა. მაგრამ გაბედა და მოვიდა, რადგან არჩეული გზა ახლა ყოველსავე დანარჩენზე მნიშვნელოვნად მიაჩნდა. ახლა თავისი არა ერთი და ორი წინა ცხოვრების ტრადიცია უნდა გაეგრძელებინა.

თუმცა თვითონაც უიკასავით იქცეოდა, რომელიც მარტოოდენ სიტყვებით კმაყოფილდებოდა.

– მასწავლე, – თქვა ბრიდამ.

მოგვის თვალები კი ფოთოლგაძრცვილ, ჩამოთოვლილ ხეების ტოტებს ჩასცქეროდნენ ქვევით. ის ახლა მზად იყო, რომ სულაც ეგულმავიწყა თავისი მოძღვრობა და ყოფილიყო მხოლოდ მოგვი, ისეთივე მამაკაცი, როგორიც ყველა დანარჩენია. მან უწყოდა, რომ თავისი სხვა ნაწილი წინ ედგა. რა დაუშლიდა, ეტყოდა, თვალებში ბედნიერება გიკრთისო, ვხედავო, რასაც ისიც დაიჯერებდა, და ახალი შეხვედრა შედგებოდა. ის კი არა, ბრიდა კიდევაც რომ გაქცეულიყო ატირებული და აფორიაქებული, მერე უსიკვდილოდ მობრუნდებოდა, რადგან მოგვი მართალი იყო – ორივეს ერთნაირად ეჭირვებოდა ერთმანეთი. ამაშია სწორედ უმაღლესი სიბრძნე, რომელსაც სხვა ნაწილთა ბუნება შეიცავს: ისინი მუდამ სცნობენ ერთურთს.

მაგრამ ის მაინც მოძღვარი იყო. და ერთხელ ერთი პატარა ესპანურ სოფელში წმინდა აღქმა დადო. ბევრ სხვა რამესთან ერთად დაიფიცა, რომ მოძღვარი არცროდის არცვის არჩევნის წინაშე არ დააყენებდა. ერთგზის მან უკვე გატეხა ფიცი, შეცდა და აკი მოიკვეთა კიდეც სოფელმა. ახლა სულ სხვაგვარი ვითარება იყო, მაგრამ მაინც არ უნდოდა სახიფათო მდგომარეობაში ჩადგომა. „ამ ყმაწვილქალის გულისთვის გრძნება-მაგიაზეც კი ვიტყოდი უარს“, – ხან ასეთი ფიქრიც გაუელვებდა ხოლმე, მაგრამ იმწუთასვე ხვდებოდა ამ ნაფიქრის შეუსაბამობას. არა, სიყვარული სულაც ამ უარის თქმას არ ითხოვს. უკეთუ სიყვარული ჭეშმარიტია, სუყველას თავ-თავისი გზით სიარულის ნებასა რთავს, რამეთუ უწყის: სხვა ნაწილთ ვერცრა ვერცროდის ერთმანეთისგან ვერ გაყრის.

აწ კი მოთმინება მართებს აღთქმადადებულ მოძღვარს. მოთმინებაში ძველებურად მწყემსთ უნდა მიბაძოს და იცოდეს, რომ ადრე თუ გვიან სხვა ნაწილნი ერთად იქნებიან. ასეთია კანონი. და ეს მთელი თავისი ცხოვრება სწამდა.

– რასაც შენ ითხოვ, ძალიან უბრალო რამ არის, – ბოლოს და ბოლოს დაარღვია მოგვმა დუმილი. მან კვლავ ლაგამი ამოიდო, დაოკდა: წესმა და რიგმა იმძლავრა.

– ისე მოიქეცი, რომ იმწუთას, როცა სხვას შეეხები, ხუთივე გრძნობა გაგეღვიძოს. რადგან სექსი თავისი საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს. და დაწყებისთანავე თავის ჭკუაზე წაგიყვანს, უმალ დაგიხელქვეითებს. თუ რამ ამწუთამდე თან მოგყვა, სამუდამოდ შენთან იქნება ყოველივე – სუყველა შენი შიში, სუყველა შენი სურვილი და შენი სისუსტე. იმათგან გაჩენილ უძლურებას თავი რომ დააღწიაო, მხოლოდ სიყვარული და ხუთი გრძნობა წაგადგება, ხუთივე სრულად გაღვიძებული, ოღენ აგრე მიაღწევ იმის განცდას, თუ რა არის ღვთივ ზიარება.

ბრიდა ძირს მიმოფანტულ მასრებს ათვალიერებდა და არცრით თავის გრძნობებს არ ამჟღავნებდა. მეტი არცრა უნდოდა, უკვე ფანდიც იცოდა, რა იყო და ხრიკიც. „რაც მეგულისყურებოდა, გავიგე“, – ჩაილაპარაკა მან თავისთვის.

– აი სულ ეს არის, რისი სწავლებაც შემეძლო.

ბრიდა არ განძრეულა. მდუმარებამ ლაგამი ამოსდო თავაწყვეტილ ლურჯა ცხენთ.

– შვიდჯერ ღრმად ჩაისუნთქე და ნელ-ნელა ამოისუნთქე. შეეცადე ხუთივე გრძნობის მანამდე გამძაფრებას, სანამ ხორციელი კავშირი დამყარდებოდეს. და როგორც იტყვიან, ადროვე დროს.

ის მზის ტრადიციის მოძღვარი იყო. და ახლა კიდევ ერთი შემდგომი განსაცდელი გამოიარა. სხვა ნაწილის წყალობით თავადაც ბევრი რამ ისწავლა.

„რაც მთავარია, ვუჩვენე, როგორ გამოიყურება ეს ყოველივე ზემოდან. ახლა უკვე ჩასვლა შეიძლება“.

ყმაწვილქალი დაბნეული უცქეროდა, ტრიალ ფოლორცზე როგორ თამაშობდნენ ბავშვები. კარგა ხნის წინათ ვიღაცისგან გაგონილი ჰქონდა, რომ სუყოველ ქალაქში არის „გრძნეული სივრცე“ – ადგილი, სადაც დაბარებულებივით დავდივართ, როცა კი ცხოვრებაზე საგულისოდ დაფიქრება გვეჭირვება. დუბლინში ასეთი ადგილია ეს ტრიალი ფოლორცი, რომლის ახლომარედ ბრიდას, დიდ ქალაქში იმედებითა და ოცნებებით ჩამოსულს, თავისი პირველი საცხოვრებელი ბინა ჰქონდა დაქირავებული. იმხანად ყმაწვილქალის ცხოვრების მთავარი გეგმა ტრინიტი-კოლეჯში შესვლა, შემდგომ კი ლიტერატურის სწავლება იყო. სადაც ახლა იჯდა, ბრიდა ბევრ დროს მაშინ სწორედ ამ სკამზე ატარებდა, ლექსებს თხზავდა, თავის კერპთათვის მიბაძვას ცდილობდა.

**გადმოაენა
გურამ გოგიაშვილმა.**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 152-166, 168-169, 171-172, 176.

ჭადრაკი

# ბათუმი ისევ მასპინძელია

**აჭარის დედაქალაქმა ბოლო ათწლეულში მრავალ საინტერესო საჭადრაკო პაექრობას უმასპინძლა. სხვადასხვა დროს აქ უასპარეზიათ ქალ-ვაჟთა ინდივიდუალური და გუნდური ევროპის ჩემპიონატების, შავი ზღვის აუზის ქვეყნების პირველობებისა და ევროპა-აზიის საერთაშორისო მატჩის მონაწილეებს.** 2006 წელს 8-18 წლის გოგონათა და ჭაბუკთა მსოფლიოს პირველობა გაიმართა, მაშინ საქართველოს წარმომადგენლებმა 6 მედალი მოიპოვეს (ორ-ორი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოსძ. ამჯერად ბათუმში ევროპის ჩემპიონატში მოასპარეზე ყმაწვილებმა მოიყარეს თავი. 34 ქვეყნის 700-ზე მეტი მოჭარაკე ჩაება ჯილდოებისთვის ბრძოლაში. ტურნირის საზეიმო გახსნაზე მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლადო ვარძელაშვილი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გია აბულაძე, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გია გიორგაძე, ევროპის ჭადრაკის კავშირის თავკაცი ბორის კუტინი, დიდოსტატები – ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი, საჭადრაკო კლუბ ნტნ-ის პრეზიდენტი ნანა ალექსანდრია, კომპანია „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ პრეზიდენტი მაირ მამედოვი და სხვები.





ჩემპიონატის პირველ ტურში მსოფლიოს ჩემპიონმა მარიამ დანელიამ თეკლა ფარჯიანი დაამარცხა, ამავე ტიტულის მფლობელმა ქეთი წაწალაშვილმა რუმინელ მადალინა-მარია ანუსკას სძლია, ევროპისა და მსოფლიოს პირველობების არაერთგზის გამარჯვებულმა და პრიზიორმა მერი არაბიძემ სლოვაკ კაროლინა ტურკოვას მოუგო. გათამაშების ცხრილში თითო ქულა ჩაიწერეს ნანი უნაფქოშვილმა, ანა კუჭავამ, ლიკა კოზმავიძემ, ფატმან რიჟამაძემ, ნოდარ ლორთქიფანიძემ, ზურაბ ჯავახაძემ... სულ პირველობაზე 11 ტური გათამაშდა. 8-18-წლიანებში გამარჯვებულები და ვიცე-ჩემპიონები ლეპტოპებით დაჯილდოვდებიან, დანარჩენ პრიზიორებს კი მობილური ტელეფონები და ფოტოაპარატები გადაეცემათ.

**ლექსო ცინცაძე**
**ავტორის ფოტო.**

ძალოსნობა

# ბაზალეთისა ტბის პირას

**დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე კარგა ხანია, მწყობრში ჩადგა ძიუდოს, ჭიდაობის, მხატვრული ტანვარჯიშის, კარატეს, ტაეკვანდოსა და კრივის კომპლექსი. მათს რიგს შეემატა ძალოსნობის დარბაზი, რომელიც ამიერიდან ოლიმპიური ჩემპიონის გიორგი ასანიძის სახელობის იქნება.** ის აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით და სპორტსმენთა მოსამზადებლად საუკეთესო პირობებია შექმნილი. მის გახსნას ესწრებოდნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლადო ვარძელაშვილი, მოადგილე დავით ნამგალაური, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი, ძალოსნობაში ოლიმპიური ჩემპიონები გიორგი ასანიძე და კახი კახიაშვილი, ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი დავით ბეჟუაშვილი. სტუმრებმა დაათვალიერეს სპორტკომპლექსის მიმდებარე ტერიტორია, სადაც საფუძველი ჩაეყარა 150-კაციანი სასტუმროს – „ოლიმპიური სახლის“ მშენებლობას. საგულისხმოა ისიც, რომ იქვე დაგეგმილია ორი საფეხბურთო მოედნის კეთილმოწყობა, ხელოვნური და ბუნებრივი საფარით, რომელსაც მძლეოსნური ბილიკები ექნება. აშენდება საცურაო აუზი და გაკეთდება ტყვიის სროლის სტენდები.



დუშეთში ახალი დარბაზის გახსნას დაემთხვა ქართველი ძალოსნების სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრება. სეზონის ამ მნიშვნელოვან შეჯიბრებას თურქეთის საკურორტო ქალაქი ანტალია მასპინძლობს. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალეკო ნოზაძემ (მწვრთნელები – გიორგი ცირეკიძე, ავთანდილ გახოკიძეძ საასპარეზოდ 7 სპორტსმენი წაიყვანა. რაულ ცირეკიძე (85ძ, თემურ ჩხეიძე, ვაჟა ლონლაძე, გიორგი მაჭავარიანი (სამივე – 94 კგძ, თემურ გოგია (105ძ, ირაკლი თურმანიძე და ლაშა ტალახაძე (ორივე – 105ძ. ანტალიაში მოგროვებულ ქულებს მომავალი წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაგარი დაემატება და საუკეთესოები 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის საგზურებს დაიმსახურებენ.

**გივი გაგუა**

სუმო

# „შავი ზღვის“ ახალი ტალღა

**ტოკიოში აკი ბაშოზე ცხრა დღე მიილია. ბოლო პერიოდის წარუმატებლობების შემდეგ კვლავ შეახსენა თავი მეტოქეებს პირველმა ქართველმა სუმოისტმა კოკაიმ (ლევან ცაგურიაძ. მომდევნო ტურში „შავმა ზღვამ“ იოლად გადაუარა მონღოლ „თეთრ ცხენს“, პაკუზას და მე-7 გამარჯვება იზეიმა. ელიტაში 29 წლის სპორტსმენს 391 მოგება დაუგროვდა. საგულისხმოა ისიც, რომ 2003 წლიდან მას უმაღლესი დივიზიონი არასდროს დაუტოვებია.**

„შავ ზღვას“, სამწუხაროდ, მხარი ვერ აუბა დასავლეთის მე-2 გაეგაშირა ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძეძ – იგი დოჰიოდან კოტოშოგიკუმ გაიყვანა. ეს ლევანის მე-4 დამარცხება იყო. ასეთივე ბალანსი (5-4ძ აქვს გაგამარუს (თეიმურაზ ჯუღელსძ, რომელმაც კორეელ კასუგაოს აჯობა.

ბაშოზე 9 დღის შემდეგ ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: ჰაკუჰო (9-0ძ, კოტოოოშუ (8-1ძ, ბარუტო, ტოჩიოძანი, კოკაი, იოშიკაძე, ტაკეკაძე (7-2ძ.

**ლაშა დიდია**



ინტერნეტიდან

## პოზნანში სტადიონი განაახლეს




**საფუძვლიანი რეკონსტრუქციის შემდეგ პოლონურ პოზნანში გაიხსნა სტადიონი, სადაც უნდა გაიმართოს 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის მატჩები. როგორც ამბობენ, ეს პირველი პოლონური არენაა, რომელიც გაიხსნა ჩემპიონატის წინ. რეკონსტრუქციაზე დაიხარჯა 210 მილიონი დოლარი, სტადიონს უკვე მიაკუთვნეს „ელიტურის“ კატეგორია, თუმცა ფიქრობენ, რომ უეფას მაინც ექნება რაღაც პრეტენზიები.**

პოზნანის სტადიონს აქვს პოლონეთში ყველაზე დიდი ტელესაშუალებები ორი – 116 კვადრატულმეტრიანი ეკრანი, ელექტრომომარაგების მძლავრი სისტემა – ოთხი გენერატორით, მაღალხარისხოვანი გახმოვანება და სხვ. ოთხ გადახურულ ტრიბუნაზე 43 ათასი დასაჯდომი ადგილია, ამავე დროს სპეციალურადაა მოწყობილი ადგილები ინვალიდი გულშემატკივრებისთვის. მწყობრში შევიდა აგრეთვე მიწისქვეშა წვიმის წყლის შემკრები ბალახის გაზონების მოსარწყავად.

სტადიონის საზეიმო გახსნაზე გამოვა ცნობილი ბრიტანელი მუსიკოსი სტინგი.

## ქართველი ქალები – ფავორიტები

**ხანტი-მანსიისკში საზეიმოდ გაიხსნა 39-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა. ცნობილი გახდა, რომ შეჯიბრებები ჩატარდება შვეიცარიული სისტემით, გაიმართება 11 ტური (პირველი ტური გუშინ გაიმართაძ. დაგეგმილია ორი დასვენების დღე – 26 სექტემბერს და 2 ოქტომბერს. ყოველ გუნდში 4 ძირითადი და 1 სათადარიგო მოთამაშეა. მამაკაცებმა წარადგინეს 158 გუნდი, ქალებმა კი – 119. აქედან რუსებს ორგანვე ორ-ორი გუნდი ჰყავთ.**



გაზეთმა „სპორტ – ექსპრესმა“ გამოაქვეყნა ფავორიტი გუნდების რეიტინგიც. ქალთა შორის რუსეთის, ჩინეთის, უკრაინის, აშშ, სომხეთის, ინდოეთის, უნგრეთის, პოლონეთის გუნდებს შორის მეოთხე ადგილზე წარმოდგენილია საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა ნაკრები ნანა ძაგნიძის, ლელა ჯავახიშვილის, ნინო ხურციძის, ბელა ხოტენაშვილისა და სალომე მელიას შემადგენლობით.

უნდა აღინიშნოს, რომ უნგრეთის ვაჟთა გუნდის შემადგენლობაშია ქალბატონი იუდით პოლგარიც.

## პუიოლიც მოხიბლა

**ბულგარელმა მოდელმა ზდრავკა ზახოვამ ბევრი მამაკაცი მოხიბლა ჟურნალ „MAXIM“ ფურცლებზე მისი პიკანტური სურათების გამოჩენით. ბულგარული „ბეროეს“ შემტევი ნახევარმცველის სტოიჩო მლადენოვ-უმცროსის სატრფომ ხომ მონაწილეობა მიიღო ამ ჟურნალის ფოტოსესიებში.**



უნდა ითქვას, რომ თავისი ახალგაზრდობის მიუხედავად პეტრიჩელმა ლამაზმანმა პოპულარობა მოიპოვა ბულგარეთის საზღვრებს გარეთაც. მომხიბვლელმა შავგვრემანმა ქალიშვილმა, პროსპერ მერიმეს მოთხრობის ცნობილ ბოშა ქალს რომ ადარებენ, ერთი წლის წინათ თავბრუ დაახვია დიდებულ ფეხბურთელ კარლეს პუიოლს. „ბარსელონას“ კაპიტანმა ის კოლუმბიელ მომღერალ შაკირას მიამსგავსა და მარტო მან კი არა.

ზდრავკა სააგენტო „ვიზაჟის“ წამყვანი მოდელია. იგი დაიბადა 1989 წლის 4 ნოემბერს ბულგარეთის ქალაქ პეტრიჩში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა ბულგარეთის ახალ უნივერსიტეტში „მასობრივი კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან კავშირების“ სპეციალობაზე. უკვე ხუთი წელია, სამოდელო ბიზნესშია. ამ დროის განმავლობაში მოასწრო მამაკაცებისთვის განკუთვნილი ყველა ბულგარული ჟურნალის ფურცლებზე მოხვედრა.

ეს ახირება როდია

# ჩვენ რომ დარქმევა თუ შერქმევა ვიცით...

**ვიცით და აგრე? გადახედეთ ამ ჩამონათვალს: ვარდების რევოლუცია, ვარდების მოედანი, ეროვნული გამოცდები, ბუშის ქუჩა, ცხოვრება მშვენიერია, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი, ნაციონალური მოძრაობა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სპეცნაზი, უდო, ანტიკრიზისული საბჭო...**

თითოეული გადამხედი შეძლებს, ალბათ, ამ ნუსხის განვრცობასა თუ შევსებას ასეთივე „მორგებული“ სახელწოდებებით.

ჩვენი გაზეთი უკვე წერდა 2003 წლის 23 ნოემბერს მომხდარისათვის ფარისევლური, „გარომანტიკებული“, შეუფერებელი შენარქმევის („ვარდების რევოლუციის“) შესახებ. პარლამენტში ძალით შეჭრა, სხვა სამთავრობო შენობებში შევარდნები უფრო სახელმწიფო გადატრიალებად (პლუს პარლამენტის სხდომათა დარბაზში მაგიდების გადატრიალებად) უნდა „დაკვალიფიცირდეს“ და უკეთეს ვარიანტში „შევარდნების რევოლუციად“ მოინათლოს. ყოველ შემთხვევაში, ერთმა გამოჩენილმა კინორეჟისორმა რომ ხელში გრძელღეროიანი ვარდი დაიჭირა და პირმოთნედ ეახლა ახალ ხელისუფლებას, ეს მაშინ მომხდარს ვერ „გაავარდებდა“ (**ამაზეც წერდა „სრ“**)...

„ვარდების მოედანი“ კი ამ ამბის პროდუქტია და ხელოვნური სახელი რომაა, მგონი ისედაც ნათელია.

ერთიანი ეროვნული გამოცდები დავიჩემეთ აგერ მერამდენე წელია და ვერ შევლევივართ ამ დასახელებას, რომელშიც „ერთიანი“ რამდენადაც სწორი და გასაგებია, იმდენად მცდარი და გაუგებარია „ეროვნული“. ესეც დაასაბუთა თავის დროზე ჩვენმა გაზეთმა და უბრალო სახელწოდება, იმ პროცესისათვის სავსებით შესაბამისი, წამოაყენა — ერთიანი მისაღები გამოცდები; ოღონდ მართებულ




წინადადებას წაკითხვა და გაგება ხომ უნდა! დღემდე „ეროვნულ გამოცდებს“ გავიძახით; და კიდევ — ნეტავ სადაც მართლა ეროვნულია საჭირო და მორგებული, იქიდან არ ამოექირკვათ...

ბუშის ქუჩაო; თუ იციან ნათლიებმა საკრებულოდან თუ მერიიდან, რამდენი მეტ-ნაკლებად ცნობილი ბუშია აშშ-ს ისტორიაში, რომ ასე მარტო „ბუშით“ შემოიფარგლნენ; კი, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს გულისხმობენ, ახლანდელის წინამორბედს, მაგრამ იმ ჯორჯ ბუშის მამაც ხომ პრეზიდენტი იყო და იმასაც ჯორჯი ერქვა! ამიტომ სწორი იქნებოდა (ფორმალურად) „უმცროსი ჯორჯ ბუშის ქუჩა“, მაგრამ არსებითად? თვით აშშ-ში თუა ან მამის, ან შვილის ქუჩა და მეორეც, ღირდა კი საერთოდ ამგვარი ნათლობა? რა ისეთი დამსახურება აქვს იმ უმცროს ჯორჯ ბუშს საქართველოს წინაშე — ის, რომ მიხეილ სააკაშვილს ემხაკაცებოდა, თბილისში ჩამოვიდა და შალახო წაუცეკვა?..

ცხოვრება მშვენიერია — ასეთია ერთი კეკლუცი ტელეწამყვანი ქალბატონის გადაცემის დასახელება ერთ სამთავრობო ტელეარხზე. ვიკითხავ მე აქ — ახლანდელ საქართველოშია ცხოვრება მშვენიერი? ეს ხომ რუსულიდან გადმოიღეს და რუსული სიტყვა жизнь ცხოვრებასაც ნიშნავს და სიცოცხლესაც; ამიტომ კეთილ ინებონ და შეცვალონ სახელდება „სიცოცხლე მშვენიერია“-თი, სიცოცხლე მუდამ მშვენიერია, დაქცეულ ქვეყანაშიც კი...

ბრწყინვალების ორდენი? თანაც საპრეზიდენტო? ასეთი ფუფუნების ნება სვეკეთილ სახელმწიფოში უნდა მისცენ თავს, სადაც პრეზიდენტი მართლაც დაიმსახურებს მიმართვას „თქვენო ბრწყინვალებავ“, თორემ ჩვენთან ვის ან რის ბრწყინვალებაზე შეიძლება ლაპარაკი?..

„ნაციონალური მოძრაობა“ ხომ ჰქვია მმართველ პოლიტიკურ პარტიას — რას ნიშნავს ეს? ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გამიგონია, ეროვნული მოძრაობა გამიგონია, მაგრამ რატომ აიღეს თავიანთ ორსიტყვიან სახელში „ეროვნულის“ უცხოური შესატყვისი? იმით, რომ სახელწოდების ნახევარი ლათინური თუ სხვა წარმოშობისაა, მმართველობა უფრო დამაჯერებელი გახდა?..

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აღარ იკითხავთ (მინისტრს ხომ კითხვაც არ უნდა)? არამდგარდი განვითრებაც არსებობს? კარგი და, ეკონომიკაში რომ მკვდრადი ვითარება შეიქმნას (თუ უკვე შექმნილი არ არის), რას შვრები მაშინ? დოკუმენტაციასა და მიმოწერაშიც რომ მოუხერხებელია ამსიგრძე დასახელება, ამაზე მაინც არ დაფიქრდნენ?..

„სპეცნაზი“ და „უდო“ არცთუ იშვიათად გაისმის ტელეეკრანიდან. რავი, სულ რუსეთისა და რუსების ლანძღვა-გინებაში არიან და რუსული კი ბევრი რამ არ ეთმობათ, იმათ შორის შესყიდვები და აბრევიატურები (გავიხსენოთ, „სპეცნაზი“ მოდის отряд специального назначения-დან, „უდო“ — условно-досрочное освобождение-დან), აგრეთვე სხვა „რუსიზმები“ (პადვალი, პადიეზდი, კრიშა, გრეჩიხა, სმეტანა, და მართლაც რომ ათასი სხვა რამ); რატომ არ შეიძლება ვცადოთ შესაბამისი ქართული აბრევიატურები (სპეცნაზისა და უდოს შესაბამისს ვგულისხმობ). „სპეცდანი“ (**სპეც**იალური **დანი**შნულებისა), „სპეცდანელები“, „პივგა“ (**პი**რობით — **ვა**დამდელი **გა**ნთავისუფლება); გეთანხმებით, „პივგა“ ხელოვნურად გამოიყურება („სპეცდანი“ უფრო მოქნილი ჩანს), მაგრამ ერთ დროს „ცესკოც“ იჩოთირეს (ჩვენი გაზეთის შეთავაზება) და ხიშტებით შეხვდნენ, ახლა კი მშვენივრად „ზის“ ქართულ მეტყველებასა თუ წერაში და ტელეეკრანზე ზოგჯერ ბლანკის კუთხეშიც მსხვილი ასოებით იწონებს თავს; „პივგა“-საც მივეჩვევით; სხვათა შორის, ეს ორი აბრევიატურა არც „დაბრუნვაზე“იტყვის უარს: სპეცდანი, სპეცდანმა, სპეცდანს... პივგა, პივგამე, პივგას, პივგასი...

ანტიკრიზისულ საბჭოსაც გავკრათ კბილი და ამით დავასრულოთ. ნეტავ რა და რომელი კრიზისის „ანტიზეა“ საუბარი, თუ შეიძლება ისეთი კრიზისის დასახელება, რომელიც ამ საბჭომ დაძლია? მე პირადად მგონია, რომ ეს საბჭო თავისი დასახელებიანად გია თორთლაძის „პარლამენტარული“ ახირება თუ ამბიციურობა იყო, მის მიწოლას ვერ გაუძლეს და ცალკე საბჭო გაუხსნეს...

კიდევ ბევრი რამ არის, ჩემო ჰორაციო, სახელ-სახელწოდებადასახელებებში გასარჩევი თუ სადავო, მაგრამ სხვა დროისათვის გადავდოთ...

**ლუკა გორგაძე**

ინფორმაცია

## მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაცია დაიწყო

**რამდენიმე** ქალაქში მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაცია დაიწყო. ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე კოკა სეფერთელაძემ და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა გია მამულაშვილმა სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე ისაუბრეს.

მათი თქმით, დამწყებ მასწავლებლებს, რომლებსაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება შესაბამისი კვალიფიკაციით და მასწავლებლობის სურვილი აქვთ, რეგისტრაციისთვის უნდა მიმართონ შესაბამის რესურსცენტრებს, რომლებიც რამდენიმე ქალაქში მდებარეობს.

რეგისტრირებული მაძიებლები სკოლის შესარჩევი კომისიის მიერ შეირჩევიან. ერთწლიანი პერიოდის გავლის შემდეგ კი მათ უფლება ექნებათ ჩააბარონ სასერტიფიკატო გამოცდები, რის შემდეგაც მასწავლებლის უფლებას მოიპოვებენ.

## უშვილოდ დარჩენილი დედა პროტესტის ნიშნად თავის დაწვით იმუქრება

**სიღნაღის** რაიონის დაბა წნორში მცხოვრები 24 წლის ნინო ქემაშვილი, რომელსაც სოციალური მომსახურების სააგენტომ გუშინ მესამე შვილი პოლიციის ძალით წაართვა, პროტესტის ნიშნად, სააგენტოს ოფისთან თავის დაწვით იმუქრება.

„6 წლის ანა და 3 წლის მიხეილ აბეწვაშვილები სააგენტოს თანამშრომლებმა ჩემი თანხმობის გარეშე თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში გასულ წელს გადაიყვანეს, რამდენიმე თვე კი მესამე ბავშვზე მედავებოდნენ, გაჭირვებული ხარ და ბავშვს სათანადო პირობებს ვერ უქმნიო. გაჭირვებული რადგან ვარ, ბავშვის გაჩენის და ყოლის უფლება აღარ მაქვს? დღეს დილით მოვიდა აღმასრულებელი პოლიციელებთან ერთად და 1 წლის გიორგი მკერდიდან ამაგლიჯა. ეს ბავშვები მე გავაჩინე, როგორც შემიძლია ვზრდი, რატომ მაგლეჯენ ამ ბავშვებს, არ ვიცი. ალბათ, იმიტომ, რომ ერთხელ ბავშვის გაყიდვა შემომთავაზეს და უარი ვთქვი. ჩემმა ადვოკატმა სასამართლოს თავმჯდომარე ხვიჩა კიკილაშვილს გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით მიმართა, მაგრამ მოსამართლემ ჩვენი თხოვნა არ დააკმაყოფილა. უსამართლობის გამო, პროტესტის ნიშნად თავს დავიწვავ. ბავშვების გარეშე სიცოცხლე არ მინდა“, – განუცხადა ნინო ქემაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

## მარჩენალდაკარგულები მთელი წლის კომპენსაციას სრულად მიიღებენ

**ყველა** მარჩენალდაკარგული, რომელმაც შვილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაკარგა, წლის ბოლომდე ჯანდაცვის სამინისტროში განაცხადის შეტანის შემთხვევაში მთელი წლის კომპენსაციას სრულად მიიღებს.

მთავრობის ამ გადაწყვეტილების შესახებ საგანგებო განცხადება „ქრისტიან-დემოკრატებმა“ გუშინ პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთეს. როგორც „ქრისტიან-დემოკრატების“ წარმომადგენელმა მაგდა ანიკაშვილმა აღნიშნა, მთავრობამ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მარჩენალდაკარგულ ოჯახებს მთავრობა 9 თვის გაცდენილ დახმარებას სრულად აუნაზღაურებს.

## დოკუმენტაციის გამყალბებლები დააკავეს

**განსაკუთრებით** დიდი ოდენობით პროდუქციაზე გამოწერილი ყალბი საგადასახადო დოკუმენტაციის დამზადებისა და გასაღების ფაქტზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს საქართველოს მოქალაქეები: ზაქარია ჭუნიაშვილი, ნოდარ იმერლიშვილი, ნიკოლოზ ქინქლაძე, ბესიკ ბერუაშვილი, დავით უზნაძე და რიზმან კურბანოვი.

გამოძიების ინფორმაციით, აღნიშნულმა პირებმა გარკვეული თანხების სანაცვლოდ განახორციელეს ე.წ. „უსაქონლო ოპერაციები“ და დაამზადეს და გაასაღეს დაახლოებით 60 000 ლარის სამშენებლო მასალაზე გამოწერილი ყალბი სასაქონლო ზედნადებები და ანგარიშ-ფაქტურები, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიადგა.

ჯი-ეიჩ-ენი



ყოფილი ვაჭრობის სამინისტროს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მინისტრის, დიდებული პიროვნების, ღირსეული მოქალაქის

მერაბ ქაჯაიას

გარდაცვალებას და გულითად სამძიმარს უცხადებენ ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს. დაკრძალვა 23 IX, ბათუმში, ვაჟა-ფშაველას 20.



ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა თბილისის საქალაქო და გლდანი-ნაძალადევის რაიონული კავშირები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ვეტერანული მოძრაობის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქალაქო და რაიონული კავშირის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე, სამამულო ომის აქტიური მონაწილე

გრიგოლ გიორგის ძე
შვანგირაძე

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს. პანაშვიდი 21, 22 IX, 17 სთ. გამოსვენება 23 IX, 14 სთ. გლდანის მასივი, „ა“ მიკრო/რ. 55 კორპუსი.

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია თანაგრძნობას უცხადებს ამავე აკადემიის აკადემიკოსს ნუგზარ ებანოიძეს შვილის

ზურაბის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

## განცხადება

შპს „ჭიათურის ხორცკომბინატის“ სამეურვეო მასაში შესული ქონების რეალიზაციის მიზნით აუქციონი გაიმართება 2010 წლის 6 ოქტომბერს 12 საათზე.

მისამართი: ქ. ჭიათურა, ჭიათურა-საჩხერის გზატკეცილი, № 41, საწყისი ფასი 45 000 ლარი.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელეფონით: 899-23-48-33.

გაკოტრების მმართველი: პ. კიკალიშვილი

## განცხადება

171-ე საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს სასკოლო ბუფეტის იჯარით გაცემაზე. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ შემდეგ ტელეფონებზე: 31-60-51; 899-235-207.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
გ. ახვლედიანის ქ. №19.
99-62-77; 899 32-85-76.

## დაიჯესტი

### ცხელი პური... პარიზიდან



ამ კაცმა არა მარტო უდიდესი ქონება დააგროვა, მან სათავე დაუდო იმას, რაც ჟურნალისტებმა შემდგომ „ონასისის მითად“ მონათლეს.

რამდენიმე ათწლეულში მან უბრალო დოკერიდან და ჭურჭლის მრეცხავიდან მსოფლიოს უმდიდრეს კაცამდე თავბრუდამხვევი გზა განვლო. წარმოშობით ბერძენი, იგი 1920-იან წლებში არგენტინაში გაიქცა. როცა გემი, რომლითაც მან სამხრეთ ამერიკამდე იმგზავრა, ბუენოს-აირესში ჩავიდა, არისტოტელ ონასისს ჯიბეში ასი დოლარიც არ ჰქონდა. ერთი წლის მანძილზე იგი ნებისმიერ სამუშაოს თანხმდებოდა, ვიდრე ამერიკული სატელეფონო კომპანიის ITT-ს არგენტინულ ფილიალში ელექტრიკოსად დაიწყებდა მუშაობას.

ონასისის პირველი წარმატებული საქმე არგენტინის ბაზარზე ბერძნული თამბაქოს იმპორტი იყო. მოგვიანებით მან იყიდა და შეაკეთა ძველი ჩაძირული ტანკერი, რომლითაც მისი მსოფლიოში უმსხვილესი გემთმფლობელის წარმატებული კარიერა დაიწყო. 70-იანი წლებისთვის მისმა ქონებამ 500 მილიონ დოლარს გადააჭარბა. „ონასისის იმპერია“ იმ დროს 50 მსხვილტონაჟიან გემს ითვლიდა, რომელთაგან 15 ტანკერი იყო. გარდა ამისა, მას მრავალმილიონიანი კაპიტალდაბანდებები ჰქონდა ევროპისა და ამერიკის მრავალ მსხვილ კომპანიაში.

გამდიდრებული ონასისის ყველაზე საყვარელი „სათამაშო“ ხუთსართულიანი სახლის სიმაღლე დიდებული იახტა იყო, რომელსაც „ქრისტინე“, თავისი ქალიშვილის სახელი დაარქვა. მისი გემბანის ნაწილი კუნძულ კრიტოსის ძველისძველი სასახლიდან გამოზიდული მოზაიკური ფილებით იყო მოპირკეთებული. პატრონის სურვილისამებრ, მოზაიკური გემბანი ქვევით ჩადიოდა, გემბანი კი მოზრდილ საცურაო აუზად გადაიქცეოდა ხოლმე.

ამ იახტაზე არნახულად მდიდრული წვეულებები იმართებოდა, მასპინძელს სამეფო ოჯახების წევრები, დიდგვაროვანი არისტოკრატები, ცნობილი პოლიტიკოსები, სპორტისა და კინოს ვარსკვლავები სტუმრობდნენ, სუფრაზე კი, სადაც არ უნდა ყოფილიყო „ქრისტინე“ მუდამ... პარიზიდან ჩამოტანილი ახალი პური იდო ხოლმე...

### „სათამაშო“ ტანკები და რაკეტები

შენიღბვა, კამუფლაჟი – თანამედროვე სამხედრო დაპირისპირებებისა თუ აშკარა კონფლიქტებისა და საომარი მოქმედებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მდგენელია. აღმოჩნდა, რომ დასავლეთის რამდენიმე ქვეყნის კომპანიები ერაყისთვის... გასაბერ ტანკებს, თვითმფრინავებს, რაკეტებსა და სხვა სახეობის შეიარაღების მაკეტებს ამზადებდნენ! ეს ამბავი ერაყზე პირველი საჰაერო თავდასხმების შემდეგ გახდა ცნობილი, როცა ამერიკელებმა დაადგინეს, რომ განადგურებულ სამიზნეთა უმრავლესობა მულიაჟი იყო...



ტურინელმა მეწარმემ მარკო მოსელიმ კი ფრანგული ჟურნალის „პარი-მატჩის“ კორესპონდენტს უამბო, რომ „თუკი ნამდვილი ტანკი 25 მილიონი ღირს, ისინი, რომლებსაც ჩვენ ვაწარმოებთ და რომლებსაც რადარებიც ნამდვილად აღიქვამენ, მყიდველს სულ 90 ათასი უჯდება“.

მოამზადა **ოთარ ტურაბელიძემ**

## დაზუსტება

18 სექტემბრის (№ 175ძ ნომერში, მე-11 გვერდზე გამოქვეყნებულ წერილში **„ბაგრატიონის ღირსება“** გაიპარა უზუსტობა. IV სვეტის მე-3 აბზაცის მე-8 სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: **„ნანა ჭყოიძის თქმით, წიგნში ასევე საინტერესოდაა ასახული რუსეთ-თურქეთის ომი და კარგად ჩანს, რომ იმ პერიოდში რუსეთი საქართველოს მიმართ ბოროტი განზრახვით არ მოქმედებდა“.**



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8402 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3623 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8352 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0012 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.0459 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2923 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.3322 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2230 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7075 ლარი |



### ამინდი დღეს



| | |
|---|---|
| თბილისი. | +16 – +22 |
| ქუთაისი. | +18 – +25 |
| ბათუმი. | +16 – +21 |
| ზუგდიდი. | +16 – +28 |
| თელავი. | +14 – +24 |

## ანეკდოტები

– მიხო, გავიგე ცოლს გაყრილხარ, ძალიან იმოქმედა ამან შენზე, ძალიან განიცადე?

– ახლა შედარებით არა მიშავს, შევეგუე! აი, პირველ ხანებში კი სიხარულისგან კინაღამ გავგიჟდი.

* * *

მას მერე, რაც ექიმმა უნაყოფობის საშინელი დიაგნოზი დაუსვა, იგი ისე დაიბნა, რომ არც იცოდა, რა ეთქვა თავისი ფეხმძიმე ცოლისთვის...

* * *

მიდის ივანიჩი ქუჩაში და ხედავს, ზის მოხუცებული კაცი თავისი ქოხის წინ და ტირის.

– რა მოგივიდა, ბაბუ?

– რა და, 18 წლის გოგოზე დავქორწინდი. დილით ვიღვიძებ, საწოლში მოაქვს ჩემთვის საუზმე, დღისით ბლითებს მიმზადებს, საღამოს მასაჟს მიკეთებს, ღამით კი, როცა ვწვებით, სულ მთლად თავს მევლება...



– თუ ასეა, რა გატირებს?

– რა და, შვილო, დამავიწყდა, სად ვცხოვრობ...

* * *

სტრასბურგში ყველა ევროპული ქვეყნის პარლამენტარები შეიკრიბნენ. ერთხელაც ტუალეტში ერთდროულად შევიდნენ ინგლისელი, ფრანგი და რუსი დეპუტატები.

პირველმა ბრიტანელმა მოშარდა. მერე მივიდა ონკანთან. დიდხანს იბანა ხელი ჯერ მაგარი საპნით, მერე – თხევადით, ბოლოს ათი სალფეთქი მაინც გამოიყენა ხელის შესამშრალებლად.

ჩვენი დევიზია – „მუდამ ზედმიწევნით და სუფთად!“ – უთხრა კოლეგებს.

მერე ფრანგმა მოისაქმა. ხელი მარტო თხევადი საპნით დაიბანა და სალფეთქიც ერთიღა იკმარა. პროცედურა ამ სიტყვებით დაამთავრა:

– ზედმიწევნით და სუფთად, მაგრამ ეკონომიურად.

რუსმაც მოისაქმა, ონკანისკენ არც წასულა და თავის უცხოელ კოლეგებს ზურგსუკან გადაუგდო:

– ჩვენ, რუსები, კი საერთოდ არ ვიფსამთ ხელებზე!

## დღის კალენდარი

22 სექტემბერი

შემდგომი დღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შობისა. წმიდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისათა იოაკიმე და ანასი. მოწამისა სევერიანესი (320ძ; ღირსისა თეოფანე მმარხველისა და აღმსარებლისა (დაახლ. 300ძ; მოწამეთა ხარიტონისა და სტრატორესი (სტრატონიკესი)ძ; ნეტარისა ნიკიტა კონსტანტინოპოლელისა (XIIძ; პოვნა და აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა თეოდოსისა, ჩერნიგოველი მთავარეპისკოპოსისა (1896ძ; ხსენება მესამე მსოფლიო კრების წმიდათა მამათა (431ძ.



ამოდის 05.48
ჩადის 17.59



ამოდის 17.12
ჩადის 04.47

### დაიბადნენ:

**1791 – მაიკლ ფარადეი,** ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი, ელექტრომაგნიტური ველის შესახებ მოძღვრების ფუძემდებელი.

**1811 – ფერენც ლისტი,** უნგრელი კომპოზიტორი, დირიჟორი, პიანისტი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე.

**1900 – სერგეი ოჟეგოვი,** ენათმეცნიერი, „რუსული ენის ლექსიკონის“ შემდგენელი.

**1907 – ალექსანდრე გომელაური,** მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი.

**1908 – ბონდო კეშელავა,** პოეტი. გარდაიცვალა 1985 წელს.

**1920 – ვლადიმერ ჭავჭანიძე,** ფიზიკოს-თეორეტიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

**1942 – ხასან ინაიშვილი,** მხატვარი.

### გარდაიცვალნენ:

**1864 – გიორგი ერისთავი,** დრამატურგი, პოეტი, თეატრის მოღვაწე.

**1921 – ივანე ვაზოვი,** ბულგარელი მწერალი.

**1972 – ბორის ლივანოვი,** რუსი კინომსახიობი.

**1985 – აქსელ შპრინგერი,** გერმანელი გამომცემელი.

**2001 – ისააკ შტერნი,** ვიოლინოს მაესტრო.

### მოვლენები:

**1762 წელი** – ეკატერინე II იმპერატორად აკურთხეს.

**1792 წელი** – საფრანგეთი რესპუბლიკად გამოცხადდა.

**1862 წელი** – აშშ-ს პრეზიდენტმა ლინკოლნმა მიიღო დეკლარაცია მონობის გაუქმების შესახებ.

**1910 წელი** – თვითმფრინავის პირველი გაფრენა ინგლისში.

**1949 წელი** – ააფეთქეს პირველი საბჭოთა ატომური ბომბი.

**1966 წელი** – თანამგზავრი „Surveyor 2“ მთვარეზე დაჯდა.

**1980 წელი** – სასაზღვრო კონფლიქტი ირანსა და ერაყს შორის გადაიზარდა ფართომასშტაბიან ბრძოლაში.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ტაჯიკეთი** – შემოდგომის ბუნიობის დღე.
**მალი** – დამოუკიდებლობის დღე.
**ბულგარეთი** – ეროვნული დღესასწაული.
**ყაზახეთი** – ყაზახეთის ხალხთა ენების დღე.

**მელიანიუსი**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.